ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

მორის მაჩალიკაშვილს 2 წელი პირობითი მიუსაჯეს და გამოუშვეს

გვ.5

28 იანვრიდან ბიბლიური იგავები



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

პარასკევი, 7 თებერვალი, 2020 №31 (8295) ფასი: 60 თეთრი

„ივანიშვილი ამერიკელების გადაგდებას აპირებს“

გვ.3

„ჯერ ჩუგოშვილი გაწირეს, ახლა, შესაძლოა, ზალკალიანი გაწირონ“

გია ხუხაშვილი: „ირაკლი კობახიძე ქართული პოლიტიკური კორიდის წითელი ნაჭერია“

თორნიკე შარაშენიძე: „ოცნებას“ 60%-ის შანსი არ აქვს“

„ოპოზიციამ უნდა იცოდეს, რომ ყველა პრობლემას დასავლეთი ვერ მოგვიგვარებს“

გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „მაჟორიტარები, შესაძლოა, „ოცნების“ თავსატეხი გახდეს“

გვ.3

„მაჟორიტარულ არჩევნებში პიროვნების როლი იზრდება, პარტიისა კი – მცირდება“

გვ.4

ანქვაბი და შამბა ბჟანიას გარშემო ირაზმებიან

ახრა ავიძბა გალის რაიონის მოსახლეობის პასპორტიზაციას მოითხოვს

გვ.4

„ოდირი არ სჭირდება იმას, როგორი საარჩევნო სისტემა გვექნება“

ამირან სალუქვაძე: „პარტიის სახელწოდებებს ისე ირჩევენ, როგორც მობილურის ნომრებს“

ISSN 1987-9385

5 ავტომობილების გაქურდვის ბრალდებით ძმები დააკავეს

2 ზაზა ბიბილაშვილი, ნინო კალანდაძე და მარიამ გერსამია ნაციონალურ მოძრაობას ტოვებენ

5 თბილისში ინდოეთის მოქალაქე მოკლეს

6 აშშ-ის სენატმა ტრამპი გაამართლა

„ბრალდებული კახა შელია ფსიქიატრიულმა არ მიიღო“

5 თებერვალს მარტყოფში, ღვთაების მონასტერში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით მონასტრის წინამძღვარმა მამა ბენიამინმა ინტერპრესნიუსთან ისაუბრა.

– 03:15 წუთი იყო, როდესაც ჩემს ოთახში შემოვიდა სტუმარი და მითხრა, რომ მის ოთახში გარდაცვლილი იყო. რომ შევედი, დავინახე, ლოგინში იყო ადამიანი და მას კისერში დანა ჰქონდა ჩარტყმული.

შემდგომ პოლიციაში დავრეკეთ, ნახევარ საათში პოლიცია მოვიდა და ის, ვინც ეს ამბავი შემატყობინა და მასთან ერთად ვინც ცხოვრობდა, გამოკითხვაზე წაიყვანეს. 3 ადამიანი ცხოვრობდა ერთად კელიაში. როცა ეს ადამიანი გამოკითხვიდან მოვიდა, დავინტერესდი და ვკითხე, რამე კონფლიქტი იყო თუ არა გაქცეულსა და დაღუპულს შორის. მან მითხრა, რომ მათ შორის კონფლიქტი არ ყოფილა. ალბათ რომ დაიჭერენ, მერე გაირკვევა, – განაცხადა მამა ბენიამინმა.

სავარაუდო მკვლელი სხვების მიმართ აგრესიული არ ყოფილა.

მამა ბენიამინი

რა მოხდა მარტყოფის მონასტერში

– მოკლული ერთი წლის განმავლობაში დადიოდა ჩემთან, თვეში 10-20 დღის განმავლობაში იყო ხოლმე მონასტერში, იგორი ერქვა. ფიზიკურად სუსტი იყო და ხშირად ექიმთან დადიოდა. ის, ვინც გაქცეულია, ანუ სავარაუდო მკვლელი, წელიწად-ნახევრის განმავლობაში დადიოდა მონასტერში და ისიც თვეში 10-დან 20 დღემდე რჩებოდა ხოლმე.

გაქცეული როცა მონასტერში ცხოვრობდა, მორჩილებას ასრულებდა და მე არ დამინახავს, რომ მას ვინმესთან კონფლიქტი ჰქონოდა. როდესაც ასეთი ხალხი მოჰყავთ ჩემთან, თუ ის სხვების მიმართ აგრესიულია, ასეთებს ეკლესიიდან ვუშვებ ხოლმე, მაგრამ ეს სხვების მიმართ აგრესიული არ იყო.

ეს ადამიანი სამეგრელოდან იყო, კახა ჰქვია, მოკლული კი ერთი წლის ჩამოსული იყო მოსკოვიდან, სახლ-კარი არ ჰქონდა და ხან ჩემთან ტაძარში და ხან მის მეგობრებთან რჩებოდა ხოლმე, – აღნიშნა მამა ბენიამინმა.

გუშინ, 6 თებერვალს, ღვთაების მამათა მონასტერში დილიდან სამართალდამცველები იმყოფებოდნენ. „კურიერის“ ინფორმაციით, სამართალდამცველებმა კელიიდან სავარაუდო ბრალდებულის პირადი ნივთები წაიღეს.

მარტყოფის ღვთაების მამათა მონასტრის ერთ-ერთი სასულიერო პირის ინფორმაციით, ეჭვმიტანილ კახა შელიას ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, თუმცა არც ერთმა ფსიქიატრიულმა საავადმყოფომ მისი მიღება არ ისურვა.

– არ ჰქონდა არც აგრესია, არც არაფერი. სულ წყნარად, თავისთვის დადიოდა ტყეში, ყურსასმენები ჰქონდა ხოლმე, თავისუფლად იყო, არც მორჩილება ჰქონდა დავალებული, არც არაფერი. აქ რომ მოვიდა, რომ გავიგეთ, რომ საბუთიანი იყო, 18 წელი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ნაწოლი, წავიყვანეთ, ჩავაბარეთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ასათიანზე და იქ გვითხრეს, ჩვენი არ არის ეს, გაუქმდა ფსიქიატრიულები, ორი დარჩა თუ რაღაც და

გამოუშვეს ქუჩაში. ვიფიქრეთ, ქუჩაში როგორ გავუშვათ 18 წელი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ნამყოფი და წამოვიყვანეთ ჩვენთან. 3 წელი იყო და არც აგრესია, არც რამე არ შეგვიმჩნევია, თავისთვის, წყნარად დადიოდა, – განაცხადა სასულიერო პირმა.

მამა ბენიამინმა კურიერს უთხრა, რომ კახა შელია ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ჰყავდათ, თუმცა მათ თქვეს, რომ ის ადეკვატური იყო.

– გვყავდა ჩვენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და აღარ მიიღეს და თქვეს, ადეკვატური არისო. ვინც ჩაიდინა ეს მკვლელობა, 1.5 წლის განმავლობაში თვეში მოდიოდა 5-ჯერ, 10-15-20 დღით და ისევ მიდიოდა. როცა იყო მონასტერში, ყურძენზე ჰქონდა მორჩილება, აკეთებდა.

გარდაცვლილი ფიზიკურად ავად იყო, სულიერად არ იყო ავად. სუნთქვა უჭირდა, ხშირად მიდიოდა ექიმთან და იხრჩობოდა, ასთმა იყო თუ რაღაც, ფილტვების ავადმყოფობა ჰქონდა, – განაცხადა მამა ბენიამინმა.

კურიერის ინფორმაციით, კახაბერ შელია დაკავებულია.

თენგიზ ცერცვაძე: „არის ალბათობა, რომ ახალგაზრდა ჩინელ მამაკაცს კორონავირუსი ჰქონდეს“

ინფექციური საავადმყოფოს დირექტორ თენგიზ ცერცვაძის განცხადებით, ჩინეთიდან ჩამოსული მამაკაცის მდგომარეობა, რომელიც ინფექციურ საავადმყოფოშია მოთავსებული, დამაკმაყოფილებელია, თუმცა მას ვირუსისთვის დამახასიათებელი ყველა ჩივილი აქვს.

– ახალგაზრდა მამაკაცი, ეროვნებით ჩინელი შემოიყვანეს, რომელმაც პეკინი 27 იანვარს დატოვა, როგორც ვიცი, შემდეგ 2 დღე იყო ყაზახეთში, შემდეგ გუდაურში, იყო ბაკურიანში და 4 თებერვალს აღენიშნა ტემპერატურის მომატება, როგორც თვითონ გადმოგვცემს 38 გრადუსზე მეტი, ჰქონდა ხველა, თავის ტკივილი, ზოგადი სისუსტე, შემდეგ მიმართა საელჩოს და ონლაინ ჩინელ ექიმებთან იტარებდა კონსულტაციას, რომელთაც დაუნიშნეს ანტიბიოტიკი და კიდევ რაღაც მედიკამენტი, რომელსაც წარწერები ჩინურად აქვს და ჯერ არ ვიცით, რა არის. მაგრამ მდგომარეობა გაუარესდა 4 თებერვლის შემდეგ, აღარ დაკმაყოფილდა ონლაინ კონსულტაციით ჩინელებთან და შემოვიდა ჩვენთან, – განაცხადა ცერცვაძემ.

მისივე თქმით, პაციენტს აქვს მწვავე რესპირატორული ინფექცია.

– ამჟამად პაციენტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ყველა ჩივილი აქვს. ტემპერატურა ამჟამად 37.5 აქვს, მაგრამ ადრე ჰქონდა 38, როგორც თვითონ ამბობს. იმის გათვალისწინებით, რომ მას ცალსახად აქვს მწვავე რესპირატორული ინფექცია და არის ჩამოსული პეკინიდან, არსებობს ალბათობა, რომ ის იყოს ინფიცირებული ახალი კორონავირუსით, თუმცა ამის მყარი არგუმენტები და კლინიკური ნიშნები ჯერ არ გვაქვს.

ახლა პაციენტს გაუკეთებენ გამოკვლევას, იქნებ ჩვეულებრივი გრიპი აქვს, იმიტომ, რომ გრიპს ჰგავს ძალიან. გაუკეთებენ ასევე სისხლის ანალიზს. ხვალ იქნება უკვე ანალიზის პასუხი კორონავირუსის ინფექციაზე, – განაცხადა ცერცვაძემ.

ქალის შესახებ, რომელიც ასევე დაკვირვების ქვეშ იმყოფება, ცერცვაძემ განაცხადა, რომ მას მაღალი ტემპერატურა არ აქვს და არც ვირუსისთვის დამახასიათებელი სხვა სიმპტომები აღენიშნება.

– ქალბატონის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მას არ აღენიშნება ისეთი ნიშნები. მისი ლაბორატორიული პასუხიც კორონავირუსზე იქნება ხვალ, მაგრამ ამ ქალბატონთან, დიდი ალბათობით, არაფერი არ არის. ტემპერატურა აღენიშნებოდა დაბალი, 37 და 3, – განაცხადა ცერცვაძემ.

ზაზა ბიბილაშვილი, ნინო კალანდაძე და მარიამ გერსამია ნაციონალურ მოძრაობას ტოვებენ

ზაზა ბიბილაშვილი, ნინო კალანდაძე და მარიამ გერსამია ნაციონალურ მოძრაობას ტოვებენ. ამის შესახებ მათ მიერ „ჭავჭავაძის ცენტრის“ სახელით გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

ისინი არ აპირებენ არც ერთ სხვა პოლიტიკურ გაერთიანებასთან ასოცირებას ან 2020 წლის არჩევნებში მონაწილეობას.

„საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ უკვე თითქმის 2 წელია, სრულად ჩამოვშორდით პარტიულ საქმიანობას და ჩვენს კოლეგებთან ერთად მთლიანად ფოკუსირებული ვართ „ჭავჭავაძის ცენტრის“ განვითარებაზე – ცენტრისა, რომლის გრძელვადიანი მიზანია, ხელი შეუწყოს ქართველი საზოგადოების ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას სამოქალაქო განათლების, კრიტიკული აზროვნებისა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გავრცელების გზით. ამ ვითარებამ, რომელიც ორმხრივი არჩევანის შედეგი იყო, არაერთი კითხვა გააჩინა. შემდგომი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, ფაქტობრივი მდგომარეობა შესაბამისობაში მოვიდეს ფორმალურთან.

ამიტომ დღეიდან ფორმალურად ვწყვეტთ პარტიის წევრობას. წარმატებას ვუსურვებთ დამოუკიდებელ, პროდასავლურ ოპოზიციასა და სამოქალაქო აქტივისტებს. ამასთან, ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ არ ვაპირებთ არც ერთ სხვა პოლიტიკურ გაერთიანებასთან ასოცირებას ან 2020 წლის არჩევნებში მონაწილეობას. ჩვენი მიზანია, ჩვენი წვლილი შევიტანოთ თვისებრივად ახალი პოლიტიკური რეალობის შექმნაში, რათა ახლაც და ხელისუფლების ცვლილების შემდეგაც საქართველოში იყოს მეტი რაციონალური, კრიტიკულად მოაზროვნე, ლიბერალური ღირებულებების ორგანულად მატარებელი, ეკონომიკურად დამოუკიდებელი აქტიური მოქალაქე, რომლებიც თამაშის წესებს დაუდგენენ პოლიტიკურ კლასს და რომლებსაც გადამწყვეტი გავლენა ექნებათ საკუთარ მომავალზე“, – ნათქვამია განცხადებაში.

ზურაბ ძნელაშვილი ფინანსთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა

ფინანსთა მინისტრს ახალი მოადგილე ჰყავს. საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას 5 თებერვლის ბრძანებით აღნიშნულ პოსტზე ზურაბ ძნელაშვილი დაინიშნა.

2019 წლის 11 მარტიდან ძნელაშვილს ეკავა შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობა, 2016-2018 წლებში იყო საქართველოს ბიზნესომბუდსმენის მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო 2013 წლიდან 2019 წლის მარტამდე იყო ბიზნესომბუდსმენის მოადგილე.

2004-2013 წლებში მუშაობდა შემოსავლების სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე.

გარდაბანში ცოლ-ქმრის მკვლელობისთვის მათი ნათესავი დააკავეს

2019 წლის 7 ივნისს, გვიან ღამით, გარდაბნის მუნიციპალიტეტში სასტიკი მკვლელობა მოხდა. თავდამსხმელებმა მუსაევების ოჯახში შეაღწიეს და შუახნის აზერბაიჯანელი ცოლ-ქმარი დახოცეს.

როგორც გარდაბნის მცხოვრებლები ამბობდნენ, ცოლ-ქმარს თავში ბლაგვი საგანი ურტყეს, რის შედეგადაც სახე ისე ჰქონდათ დაზიანებული, ახლობლებს მათი ამოცნობაც კი გაუჭირდათ.

ცოლ-ქმრის დასახიჩრებული ცხედრები აბაზანასა და საპირფარეშოში იპოვეს. თავიდანვე გაჩნდა ვერსია, რომ მკვლელს შესაძლოა პრობლემები ჰქონოდა გარდაცვლილების ვაჟთან, რომელიც რუსეთში ცხოვრობს. საქმე ისაა, რომ დამნაშავემ კედლებზე წარწერები დატოვა, სადაც მოკლულების ვაჟს მიმართავდა. „ედიკ, დროზე ჩამოდი, შენც გაგისწორდებით“, – ამ შინაარსის რუსულენოვანი წარწერები დატოვეს მკვლელებმა გარდაცვლილების კერძო სახლის კედლებზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ორი ადამიანის დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით 1984 წელს დაბადებული გ.ი. დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა გასული წლის ივნისის თვეში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მასთან ნათესაურ კავშირში მყოფ ცოლ-ქმარს – 1942 წელს დაბადებულ შ.მ.-სა და 1935 წელს დაბადებულ ი.მ.-ს მათსავე საცხოვრებელ სახლში ბლაგვი საგნით სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა, რის შემდეგაც დაზარალებულების კუთვნილ თანხას მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ცოლ-ქმარი მიყენებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – ვკითხულობთ შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

დაკავებული მოკლულების შვილის, ედიკ მუსაევის, ცოლისძმაა და ცოლ-ქმარს, სავარაუდოდ, შვილზე შურისძიების მიზნით გაუსწორდა.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილი ამერიკელების გადაგდებას აპირებს“

„ჯერ ჩუგოშვილი გაწირეს, ახლა, შესაძლოა, ზალკალიანი გაწირონ“

იავო ნაცვლიშვილი

ეუთო ოდირი ე.წ. გერმანული მოდელზე დასკვნას აქვეყნებს. დოკუმენტში საუბარი არ არის იმაზე, არის თუ არა აღნიშნული საარჩევნო მოდელი კონსტიტუციასთან შეუსაბამობაში. ორგანიზაციის თქმით, ეს ქართული სასამართლოს გადასაწყვეტი საკითხია. დოკუმენტის თანახმად, გადაწყვეტილება პოლიტიკურმა ძალებმა კონსენსუსით უნდა მიიღონ იმაზე, თუ რა მოდელით ჩატარდება არჩევნები. აქვე აღნიშნულია, რომ სასურველია, გადაწყვეტილება არ იყოს შეცვლილი არჩევნების ჩატარებამდე ერთ წელზე ნაკლებ ვადაში.

რატომ თარგმნა დასკვნა ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც თავის სასარგებლოდ და რა თამაში წამოიწყო ივანიშვილმა? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.

– „ოდირის“ დასკვნაზე სხვადასხვაგვარი შეფასება გვესმის ოპოზიციისა და ხელისუფლებისგან. რეალურად რა გვითხრა, თქვენ როგორ გაიგეთ მისი დასკვნის შინაარსი?

– „ოდირმა“ გარკვევით გვითხრა კიდევ ერთხელ, რომ ეს არის პოლიტიკური პროცესის ნაწილი და პარტიები უნდა შეთანხმდნენ და ეს შეთანხმება არის მნიშვნელოვანი, რაშიც არ შეიძლება, არ დაეთანხმო მას. თვითონ პროექტთან დაკავშირებით მას ჰქონდა თავისი შენიშვნები და ეს შენიშვნები წარმოადგინა.

მაგრამ ის არ შეეხო მისი კონსტიტუციურობის საკითხს. ასე რომ, ვთქვათ, ასეთი ფორმულირება იმ დასკვნაში არ ჩაწერა იქიდან გამომდინარე, რომ მან ჩათვალა, ეს სცილდება მის კომპეტენციას, თუმცა, ამასთან, ირიბად უნდა ვიგულისხმოთ, რომ კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით მან ვერ დაინახა პრობლემა.

– შთაბეჭდილება რჩება, რომ იყო ამაზე მისი აშკარა მინიშნებაც. თქვენც ამას უსვამთ ხაზს?

– ლოგიკურად, მას ასეთი პრობლემა, რომ დაენახა, საერთოდ დასკვნასაც არ დაწერდა, უბრალოდ, იტყოდა, რომ ეს პოზიცია არის შეუთავსებელი და ამიტომ ამ პროექტს არ დაწერდა. ეს არის ლოგიკა, თუ მას მივყვებით და თავს გავანებებთ იურიდიულ შინაარსს.

– რატომ თარგმნა ეს ხელისუფლებამ თავის სასარგებლოდ?



გია ხუხაშვილი: „ირაკლი კობახიძე ქართული პოლიტიკური კორიდის წითელი ნაჭერია“

– ეს გასაგებია. საერთოდ, ჩვენთან პოლიტიკურ პროცესში ასე ხდება. შეუძლებელია, ორივეს ერთნაირად წაეკითხა. ჩვენ საქმე გვაქვს ორ მონოლოგთან, ორ ურთიერთდაპირისპირებულ ჭეშმარიტებასთან. ეს ვნახეთ ახლაც. ორივე აფასებს თავისი ინტერპრეტაციით საკუთარ გამარჯვებად, ორივე ასე კითხულობს და, ბუნებრივია, საზოგადოება ამ ვითარებაში იბნევა.

განსაკუთრებით აგრესიულად ამ პოლიტიკას ატარებს ხელისუფლება კობახიძის მეშვეობით. ვინ არის კობახიძე? – კობახიძე არის ქართული პოლიტიკური კორიდის წითელი ნაჭერი. გუშინ დაიძახა 60% და ამაზე აყვირა ყველა. ეს არის მუდმივი თამაში, ამაში განსაკუთრებული არაფერი ხდება, ანუ, როცა დასჭირდებათ, კობახიძე გამოვა წითელ ნაჭრად. ეს არის მოცემულობა.

სიმართლე გითხრათ, წმინდა პოლიტიკური გაგებით არც მიმაჩნდა, რომ ეს დასკვნა ძალიან მნიშვნელოვანია და აგიხსნით რატომაც. იმიტომ, რომ ამ დასკვნაში რაც ჩაეწერა, არის ის, რომ ეს პროექტი აბსოლუტურ შესაბამისობაშია კონსტიტუციასთან და ამით არაფერი იცვლებოდა.

– რატომ?

– ხელისუფლებას მისაღები აქვს პოლიტიკური გადაწყვეტილება იმისათვის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს, იქიდან გამომდინარე, რომ ხელისუფლება ნებისმიერი გზით ეცდება, შეინარჩუნოს ძალაუფლება და, გამომდინარე იქიდან, რომ ძალაუფლების შენარჩუნების ერთადერთ ინსტრუმენტად მაჟორიტარების მანიპულირებას თვლის, რადგან სხვანაირად ვერანაირად ვერ შეინარჩუნებს, ამიტომ ის ბოლომდე ამას ჩაეჭიდება.

რომც ჩაწერილიყო დასკვნაში, რომ ეს არის კონსტიტუციასთან შესაბამისი, მაშინ ისინი სხვა არგუმენტებზე დაიწყებდნენ აპელირებას და იტყოდნენ, რომ ეს ქვეყნის სტაბილურობას შეუქმნის საფრთხეს და ამის გარანტი მაჟორიტარები არიან. მაგალითად, მკოიანი, რომელიც შევარდნაძის დროიდან მოყოლებული მაჟორიტარია, ის ყოფილა ამ ქვეყნის სტაბილურობის გარანტი. ეს ხალხი ყოფილა სტაბილურობის გარანტი და მათ გარეშე ამ ქვეყნის სტაბილურობას საფრთხე შეექმნება, ანუ სხვა არგუმენტებს მოძებნიდნენ და ამიტომ ყვირიან განსაკუთრებით ხმამაღლა.

მათ გაუხარდათ, რომ ანტიკონსტიტუციურად არ ეწერა დასკვნაში და დაიწყეს შეტევა. რეალურად ეს არც უნდა ჩაწერილიყო. ეს მოცემულობა გვაქვს, ხელისუფლებას არაფრის შეცვლა არ უნდა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

თორნიკე შარაშენიძე: „ოცნებას“ 60%-ის შანსი არ აქვს“

„ოპოზიციამ უნდა იცოდეს, რომ ყველა პრობლემას დასავლეთი ვერ მოგვიგვარებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, მოვიდა ეუთო/ოდირის დასკვნა, რომელსაც ყველა თავის სასარგებლოდ კითხულობს. თქვენ რა გაიგეთ ამ დასკვნიდან?

– არაფერი სასწაული ამ დოკუმენტში არ წერია. სიმართლე სადღაც შუაშია. იქ წერია, რომ, როგორც ჩანს, გერმანული მოდელი არ საჭიროებს კონსტიტუციის ცვლილებას. ამავე დროს, იქ წერია ისიც, რომ საერთოდ უმჯობესია, არჩევნებამდე ერთი წლით ადრე პერიოდში საკანონმდებლო ცვლილებები არ მოხდეს. მეორეც, ოდირი ვერ დადებს დასკვნას, რამდენად კონსტიტუციურია ესა თუ ის საკანონმდებლო ცვლილება. ეს არ არის მისი პრეროგატივა. ის უბრალოდ წერს, რამდენად კარგია ეს ყველაფერი დემოკრატიული განვითარებისთვის.

– ანუ რა გამოდის, რჩება ძველი მოდელი?

– ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლება ყველაფერს იზამს, რომ ეს მოდელი დარჩეს. სხვა შემთხვევაში მას არჩევნების მოგების შანსი არ აქვს.

– ოპოზიცია დამარცხდა ამ ბრძოლაში?

– ოპოზიცია, მგონი, შეგუებულია, რომ ამ მოდელით მოუწევს მას გასვლა არჩევნებზე და ფიქრობს იმაზე, როგორი სტრატეგიით იმუშაოს არსებული მოდელის პირობებში.

– რამდენად აქვს ოპოზიციას დასავლეთის ზეწოლის იმედი? კონგრესმენებისა და სენატორების კრიტიკული წერილები რამდენად უშველის საქმეს?

– იმედი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ყველა პრობლემას დასავლეთი ვერ მოგვიგვარებს, ესეც უნდა იცოდნენ. აქ შენით უნდა მოიგო არჩევნები. დანარჩენი ყველაფერი მეორეხარისხოვანია. უნდა იმუშაონ სწორად, რომ ნეიტრალური ამომრჩეველი, რომლის პროცენტული რაოდენობა მაღალია, სახლში არ დარჩეს.

– ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მათ აქვთ რესურსი, არჩევნებზე აიღონ 60%. საიდან მოიტანენ ამხელა შედეგს?

– დაშინებითა და გაყალბებით, სხვა საიდან უნდა მოიტანონ!

– ზედმეტად ხმამაღალი განცხადება ხომ არ იყო?

– რა თქმა უნდა. როდის იყო, კობახიძე მოკრძალებულ განცხადებას აკეთებდა.

– თეორიულად არის იმის შანსი, რომ დადონ 60%?

– არანაირად. ლეგიტიმური არ იქნება. არავის თვალში არ იქნება ლეგიტიმური 60%. არავინ დაიჯერებს, რომ მათ ამხელა მხარდაჭერა აქვთ. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს აქვს საზღვარი. ყველა უყურებს და ხედავს, რომ მათ მხარდაჭერა არა აქვთ. ასე, ელემენტარულად, ვერ გაქაჩავენ. თუ აპირებენ, მერე კიდევ 4 წელი მართონ ქვეყანა ამ რეიტინგით, პირველ რიგში საკუთარ თავს მიიყვანენ კატასტროფამდე.

– არჩევნებს გააყალბებენ?

– რატომაც არა? რა, შერცხვებათ თუ რა?! ოპოზიცია თუ ფიქრობს, მერე ყველა გამოვა ქუჩაში და ამათ სახლში გავუშვებთო, ეს ქვეყანას დააზიანებს. ამიტომ, უმჯობესია, თუ ხელისუფლების შეცვლას აპირებენ, ახლა შეცვალონ, ბუნებრივია, არჩევნების გზით.

ოპოზიციამ ხალხის გული უნდა მოიგოს პირველ რიგში, თორემ ვერც ევროპა უშველის და ვერც ამერიკა.

– „ოცნების“ მომხრეებში გაჩნდა იმედი, რადგან არ მოხერხდა ტრამპის იმპიჩმენტი, ჩვენი ხელისუფლებაც პოზიციებს გაიმაგრებსო. ეს რამდენად სწორი ხედვაა?

– ეს არაფერ შუაშია. ტრამპს იმპიჩმენტი სერიოზულად არ ელოდა არასოდეს, გამომდინარე იქიდან, რომ მას საკუთარ პარტიაში დიდი მხარდაჭერა ჰქონდა. რესპუბლიკელები აკონტროლებენ უმრავლესობას სენატში. ეს ერთი, მეორეც, ტრამპის დაპირისპირება ოპოზიციასთან არანაირად არ ეხება საქართველოს საკითხს.

ტრამპი არ იწუხებს მაინცდამაინც თავს საქართველოს საკითხებზე ფიქრით. მისი საფიქრალია საპრეზიდენტო არჩევნები, სამუშაო ადგილები ამერიკაში. საქართველოზე თუ იფიქრებს, დაუჯერებს მათ, ვინც ჰყავს მრჩევლები ამ საკითხებში.

მეოცნებეების სიხარული, რომ ტრამპის იმპიჩმენტი ვერ მოახერხეს და „ოცნება“ გაიმარჯვებს, ჩვეულებრივი სისულელეა.

– ოპოზიციის ინიციატივა საერთო მაჟორიტარული კანდიდატების დასახელების შესახებ რამდენად იმუშავებს და რამდენად მოახერხებენ ამაზე შეთანხმებას?

– თუ უნდათ, რაღაც გამოვიდეს, უნდა მოახერხონ. მე სხვანაირად ვერ წარმომიდგენია მაჟორიტარულის პირობებში ხელისუფლების დამარცხება, თუ არ მოხდა კოორდინაცია მაინც.

– ოდირის ეს დასკვნა იყო ნიშანი, რომ ცვლილება კანონში არ იქნება?

– ალბათ არ იქნება. ჩაეჭიდება ამ დასკვნას „ოცნება“.

რამაზ საყვარელიძე: „მაჟორიტარები, შესაძლოა, „ოცნების“ თავსატეხი გახდეს“

„მაჟორიტარულ არჩევნებში პიროვნების როლი იზრდება, პარტიისა კი – მცირდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, გერმანული მოდელის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით ეუთო-ოდირის დასკვნა ცნობილია. ხელისუფლება აცხადებს, რომ ის არაფრის შეცვლას არ აპირებს. როგორ ფიქრობთ, არჩევნები არსებული, შერეული სისტემით ჩატარდება?

– როგორც ჩანს, მართლაც აქეთკენ მიდის ყველაფერი. პრაქტიკულად, დაეჭვების ფაქტორი აღარ არის, რომ არსებულ საარჩევნო მოდელს შეცვლის ხელისუფლება.

– თუმცა არც ოპოზიცია აპირებს დათმობას.

– დიახ, როგორც ოპოზიცია აცხადებს, ის ბოლომდე იბრძოლებს, თუმცა, რა რესურსია მის ხელთ, რას აპირებენ მომავალში, ამაზე ჯერ მკაფიოდ არ არის პოზიცია ფორმულირებული.

– ოპოზიცია აცხადებს, რომ არსებული საარჩევნო სისტემითაც მოუგებს „ქართულ ოცნებას“. ისინი მაჟორიტარულ ოლქებში საერთო კანდიდატით აპირებენ გასვლას. რამდენად შეძლებს ოპოზიცია ერთ კანდიდატზე შეთანხმებას?

– ეს არის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი. არ ვიცი, რამდენად შეძლებენ, რადგან ეს ძალიან ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული. თუმცა, თუ გააცნობიერებს ოპოზიცია, რომ ამ შეთანხმებით შეუძლია სერიოზული პრობლემის შექმნა ხელისუფლებისთვის არჩევნებში, მაშინ შეძლებს.

– შეთანხმება რაზე იქნება დამოკიდებული?

– ოპოზიციის შიდა სამზარეულოზე. რამდენად კმაყოფილი იქნება თითოეული მათგანი ამა თუ იმ გადაწყვეტილებით, მაგალითად, სიის შემთხვევაში ვინ რომელ ადგილს დაიკავებს, გამარჯვების შემთხვევაში ვინ რა როლში იქნება და ა.შ.

ასეთი ნაბიჯების შემდეგ იწყება ხოლმე დაპირისპირებები. ასეთ მრავალპარტიულ ერთობაში პიროვნების უკმაყოფილების მიზეზს რა დალევს! ვნახოთ, რამდენად შეძლებს ოპოზიცია ამ პიროვნულზე ამაღლებას. ეს დროში გამოჩნდება. ხომ იცით, არაფერი დაიმალება.

– ოპოზიციის მიერ დაყენებული ერთი კანდიდატის წინააღმდეგ ხელისუფლებას ბრძოლა გაუჭირდება?

– რა თქმა უნდა, გაუჭირდება. ამ შემთხვევაში მთელი ოპოზიციის ძალისხმევა მიმართული იქნება სწორედ იმისკენ, რომ ამ ერთმა კანდიდატმა გაიმარჯვოს და ამისთვის ისინი ყველაფერს გააკეთებენ.

კიდევ ერთი ფაქტორი იქნება გადამწყვეტი. საქართველოში პოლიტიკური პარტიები არ უყვართ, ამიტომ მაჟორიტარულ არჩევნებში პარტია უკანა პლანზე გადადის და წინ ადამიანი მოდის. ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება, რადგან ამ შემთხვევაში ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ არ იქნება წინა პლანზე. ესეც შეიძლება გადამწყვეტი იყოს.

– თქვენ ამბობთ, რომ მაჟორიტარულ არჩევნებს პიროვნება იგებს და არა – პარტია?

– დიახ, პიროვნების წილი ძალიან დიდია ამ შემთხვევაში. მაგალითად, თბილისის მერის არჩევნებში კალაძის გამარჯვებაში ორივე ფაქტორმა იმუშავა, ერთი მხრივ კალაძემ, მეორე მხრივ – მმართველმა პარტიამ, მაგრამ მის კონკურენტ ალეკო ელისაშვილის შემთხვევაში მხოლოდ პიროვნება იყო წამყვანი ფაქტორი. ელისაშვილის უკან არავითარი პარტია არ ყოფილა. სწორედ ამას ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, რომ მაჟორიტარულ არჩევნებს პიროვნება იგებს და არა – პარტია.

თუ ოპოზიცია კარგად იმუშავებს და ადგილებზე შეარჩევს ხალხში პოპულარულ, სანდო ადამიანებს, რომლებსაც ამომრჩეველი ენდობა და მათ ხალხი არასდროს გაუწბილებიათ, მაშინ „ქართულ ოცნებას“ მართლაც გაუჭირდება. მეტიც, შეიძლება, ამ არჩევნებზე მაჟორიტარები ხელისუფლების პლუსი კი არ იყოს, არამედ დიდი თავსატეხი გახდეს.

– „ქართული ოცნების“ ლიდერებმა არჩევნების 60%-იანი მოგება დააანონსეს. ეს საარჩევნო პიარის ნაწილია თუ შიდა კვლევებზე დაყრდნობით ამბობენ?

– ვერ გეტყვით, რა შიდა კვლევები აქვთ. შეიძლება, აქვთ კიდეც, მე არ ვარ საქმის კურსში. თუმცა, რასაკვირველია, პირველ რიგში, ეს არის სწორედ წინასაარჩევნო პიარის ნაწილი. არჩევნების წინ დამისახელეთ პარტია, რომელიც ამბობს, არჩევნებს წავაგებო! ოპოზიციაც იმავეს ამბობს, არსებული მოდელითაც კი დავამარცხებთო. ამდენად, გასაკვირი არაფერი უთქვამს „ქართულ ოცნებას“, თუმცა არჩევნებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

– ამ ერთ წელიწადში ელოდებით ისეთ პოლიტიკურ ძვრებს, რომლებიც შეიძლება არჩევნების წაგების ან მოგების ფაქტორი გახდეს?

– რაღაც ტიპის სიახლეებს ალბათ მაინც ექნება ადგილი. ვნახოთ, ალბათ არც „ქართული ოცნება“ იქნება გულხელდაკრეფილი. რეიტინგის ასაწევად ისიც რაღაც ნაბიჯებს გადადგამს.

ანქვაბი და შამბა ბჟანიას გარშემო ირაზმებიან

ახრა ავიძბა გალის რაიონის მოსახლეობის პასპორტიზაციას მოითხოვს

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში განმეორებითი დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებიან.

დეპუტატი ასლან ბჟანია, რომელიც არჩევნების ერთ-ერთი ფავორიტი და ბოლო 11 თვის მოვლენების მრავალტანჯული აქტორია, კონსულტაციებს მართავს. ბჟანია ესაუბრება პოლიტიკოსებსა და საზოგადო მოღვაწეებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

მას შეხვედრა ჰქონდა ყოფილი პრემიერის სერგეი შამბას ორგანიზაცია „ერთიან აფხაზეთთან“.

„ერთიანი აფხაზეთი“ მის კანდიდატურას კვლავინდებურად მხარს უჭერს, თუმცა საარჩევნო კამპანიაში არ ებმება.

შამბას პარტიაში განაცხადეს, რომ მომავალი პრეზიდენტი უთვალავი პრობლემის წინაშე დგას. მას ძალიან გაუჭირდება და, თუ სიძნელეებს ვერ გაუმკლავდა, თანამდებობაზე ერთ წელიწადსაც არ გააჩერებენ.

ბოლოდროინდელი ქუჩის აქციების აქტივისტი ახრა ავიძბა, რომელიც „ერთიანი აფხაზეთის“ წევრია, აცხადებს, რომ მომავალმა პრეზიდენტმა აუცილებლად უნდა მოაგვაროს გალის რაიონის მოსახლეობის პასპორტიზაციის საკითხი.

მისი თქმით, უნდა გამომზეურდეს მონაცემები იმის თაობაზე, თუ რამდენმა ეთნიკურმა

აფხაზმა მიიღო საქართველოს პასპორტი ხაჯიმბას მმართველობისას.

პასპორტიზაცია აფხაზეთში მტკივნეული თემაა ადგილობრივი ქართველებისთვის, რომლებიც ხაჯიმბამ ბინადრობის მოწმობების ამარა დატოვა. ხაჯიმბამ აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისათვის პასპორტების დარიგების გამო თავის წინამორბედ ანქვაბს ბევრჯერ უსაყვედურა და ღამის მოღალატედ გამოაცხადა.

გალელების უუფლებობაზე წინა წლებში, ჯერ კიდევ 2019 წლის არჩევნებამდე, ბევრჯერ უსაუბრია დეპუტატ ასლან ბჟანიას.

ბჟანია ალექსანდრე ანქვაბთან (ამჟამად დეპუტატთან) და მის საზოგადოებრივ ორგანიზაცია „აიტაირასთან“ თანამშრომლობს.

ბჟანიას ფონდი „აპრა“ იუწყება, რომ ასლან ბჟანია და ალექსანდრე ანქვაბი მართავენ დიალოგს სახელმწიფოს განვითარების გზების ძიებაზე კანონიერებისა და პროგრესის საფუძველზე.

ფაქტობრივად, პარტია „ამცახარა“ და მისი ლიდერი ალხას კვიცინია, ფონდი „აპრა“ და ანქვაბის საზოგადოებრივი ორგანიზაცია „აიტაირა“ საარჩევნოდ რესურსებს აერთიანებენ.

ხალხის ზეწოლით გადამდგარი, არჩევნების გაყალბებით მეორედ გაპრეზიდენტებული რაულ ხაჯიმბა 22 მარტის არჩევნებში არ მონაწილეობს.

ბჟანიას კონკურენტები არიან სოხუმის მერი კან კვარჩია, რომელიც წინათ სოხუმის საკრებულოს დეპუტატი იყო და პარტია „აკზაარას“ ლიდერი ლეონიდ ძაპშბა, რომელიც ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრია.

საარჩევნოდ თანამოქალაქეებს მიმართავს საზოგადო მოღვაწე, 1992-93 ომის ვეტერანი რისმაგ აჯინჯალი. იგი მოსახლეობას აფრთხილებს, არ მოტყუვდეს და არ მოიყვანოს ხელისუფლებაში პირები, რომლებიც აფხაზეთში კორუფციას გააღრმავებენ.

ანტიკორუფციული საპროტესტო აქცია აფხაზეთის პარლამენტთანაც მიმდინარეობს. აქციის მონაწილეებმა იქ კარვები გაშალეს.

უკავშირდება თუ არა ეს მოძრაობა საპრეზიდენტო არჩევნებს? როგორც ირკვევა – ნაწილობრივ. აქტივისტებს სურთ, რომ აფხაზეთის სახალხო კრებამ არჩევნებამდე მოასწროს ანტიკორუფციული კანონმდებლობის ბოლომდე დამტკიცება.

„ახალი თაობა“ წერდა, რომ საინიციატივო ჯგუფი 3 წელიწადია, მოითხოვს კორუფციის საწინააღმდეგო კანონების მიღებას.

საუბარია გაეროს კონვენციის მეოცე მუხლზე კორუფციასთან ბრძოლის შესახებ, ასევე ქონებრივი დეკლარაციების შევსების ვალდებულების კანონსა და სისხლის სამართლის კოდექსში „უკანონო გამდიდრების“ დამატების შეტანაზე.

– დარჩა ორი მოსმენა და გვინდა, რომ ეს საპრეზიდენტო არჩევნებამდე მოესწროს. გვქონდა უამრავი შეხვედრა დეპუტატებთან. გვპირდებიან, რომ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ. პროცესის გაჭიანურება ეჭვს გვიჩენს, – აცხადებს აქტივისტი ასტამურ კაკალია.

„ივანიშვილი ამერიკელების გადაგდებას აპირებს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ახლა გაუშვეს ზალკალიანი ამერიკაში. იქ ის გასცემს დაპირებებს, აქ კი აპირებენ ამერიკელების გადაგდებას.

– დაინახეთ, რომ ამერიკელების მორიგ ჯერზე გადაგდებას აპირებენ?

– ივანიშვილის მართვის სტილი წლების განმავლობაში არის სწორედ ეს. ამას ვამბობ დიდი წუხილით, იმიტომ, რომ აქ მარტო პოლიტიკაზე აღარ არის საუბარი, არამედ ადამიანობა და პიროვნული ღირსებაა საქმე. ივანიშვილის მართვის სტილი ასეთია – გამიჭირდება? – შეგპირდებით. გადავაგორებ პრობლემას? – გადაგაგდებთ.

– კიდევ ერთი გადაგდება რა შედეგს მოიტანს?

– ეს ყველაფერი, ბუნებრივია, გროვდება. ის არის კარგი ტაქტიკოსი, მაგრამ გრძელვადიან გეგმაზე აღარ ფიქრობს. ის ფიქრობს იმაზე, რომ ამერიკელებს დაარწმუნებს, რაღაცას შეასრულებს, დააწყნარებს მათ ცოტას, მაგრამ არაფერს გააკეთებენ. მერე ამერიკაში არის არჩევნები, მათ ჩვენთვის აღარ ეცლებათ და ამასობაში მე ამ ყველაფერს „მოვაყუმბარებო“. ამერიკელები რომ გაიღვიძებენ თავიანთი არჩევნების შემდეგ, მე ეს ყველაფერი უკვე „მოყუმბარებული“ მექნება და იმათაც მეტი რა გზა ექნებათ, იძულებულები გახდებიან, მიიღონ ეს შედეგებიო. ასე აზროვნებს ივანიშვილი. ის სახელმწიფოს პრიზმაში კი არ უყურებს, არამედ უყურებს, როგორც პოლიტიკურ თამაშს.

– აღნიშნეთ, რომ „ქართული ოცნებაში“ დემოკრატიის გარანტი იყო თამარ ჩუგოშვილი.

– ეს იყო წინა სერია. თამარ ჩუგოშვილი მათ გამოიყენეს. დასჭირდა ივანიშვილს ჩუგოშვილი და ალაპარაკა მთელ მსოფლიოსთან. თამარ ჩუგოშვილის პირით ყველას ეუბნებოდა, რომ ეს არის შემდგარი ფაქტი და ამით ჩააცხრო ემოციები დასავლეთში 20-21 ივნისის მოვლენების შემდეგ. როგორც კი ეს პრობლემა გადააგორა, ადგა და პროპორციული რა ჩემი ფეხებიაო, ეს გვითხრა.

– ანუ ჩუგოშვილი გაწირეს და ამიტომ წამოვიდა?

– ფაქტობრივად, ჩუგოშვილს ხელი შეახოცა, ასე გამოვიდა.

– ივანიშვილის მორიგ მსხვერპლს უკვე ზალკალიანში ხედავთ?

– ახლა შეიძლება ზალკალიანის ხელით ხდება იგივე და ფიქრობს, რომ კიდევ გადააგდებს, ამასობაში კი დროს მოიგებს. როცა საგარეო საქმეთა მინისტრი ჩადის კონგრესში და ამბობს, ყველაფერს გავაკეთებ, რომ პროპორციულისკენ გადაიდგას ნაბიჯები, პოლიტიკური დევნა შეწყდებაო და ა.შ. ამას როცა გეუბნებიან... არ არიან ამერიკელები შეჩვეული იმას, რომ ვიღაცა თვალებში გიყურებს და გატყუებს. შეიძლება, არც იტყუება ზალკალიანი და მართლა ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი იქნება.

ზალკალიანი ამ შემთხვევაში ბრმა იარაღია და თვითონაც არ იცის, რას ამზადებს ივანიშვილი. დაავალეს და ასრულებს. ზალკალიანს რა ეკითხება, პატარა კაცია და რა მაგის საქმეა. ეს არის სათითურებით თამაში და მეტი არაფერი.

– ოდირს დავუბრუნდეთ. დასკვნაში წერია, რომ გადაწყვეტილება კონსენსუსით უნდა იყოს მიღებული, ხოლო ამას ხელისუფლება თარგმნის, რომ ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოსო.

– საერთოდ, ხელისუფლება ასე თვლის. კონსენსუსს იმას უწოდებს, რაც უნდა ხელისუფლებას. ასეთია, საბწუხაროდ, ხელისუფლება და სხვანაირი ხელისუფლება ჩვენ არ გვეღირსა. ხელისუფლება ლაპარაკობს ულტიმატუმის ენით და, ამას თუ მიიღებ, მიიღებ, თუ არადა, სულ ფეხებზე მკიდიხარო. ასეთი ტიპის რიტორიკას ეძახის კონსენსუსს. ან ამ ტერმინის ეტიმოლოგია არ იციან, ან, იმდენად თავხედები არიან, რომ ამ სიტყვის თავიანთი ინტერპრეტაციით მოქმედებენ.

„ოდირი არ სჭირდება იმას, როგორი საარჩევნო სისტემა გვექნება“

ამირან სალუქვაძე: „პარტიის სახელწოდებებს ისე ირჩევენ, როგორც მობილურის ნომრებს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში **ამირან სალუქვაძე** პასუხობს.

– ბატონო ამირან, მინდა, პოლიტიკური პროცესები შევაფასოთ. მოგეხსენებათ, საქართველოში ყველა საკითხი სადავო ხდება. პოლიტიკური პროცესების ახალი ეტაპი კი აქციებით უკვე დაიწყო.

– დიახ, ახალი სეზონი დაიწყო.

– ამ ფონზე ოპოზიცია და პოზიცია სხვადასხვანაირად განმარტავენ ეუთო/ოდირის დასკვნას საარჩევნო სისტემებთან დაკავშირებით. რას უქადის ასეთი პროცესები ქვეყანას და არის თუ არა ისინი პოლიტიკურ ჩიხში შემყვანი?

– ჩანს გაჯიუტება საარჩევნო მოდელთან დაკავშირებით, რომელიც ოპოზიციურ ძალებს სურთ, ხელისუფლებას თავზე მოახვიონ. 100%-ით დარწმუნებული ვარ, თვითონ რომ იყვნენ ხელისუფლებაში, იმ მოდელს, რომელსაც ახლა თვითონ სთავაზობენ ხელისუფლებას, არ მიიღებენ.

მე ვსაუბრობ ე.წ. ავღანურ-ერაყულ მოდელზე, რადგან ეს ემსახურება ერთ რამეს – მეტ ხმას ვინც მოაგროვებს, ოპოზიციაში გადადის, რაც აბსურდია. ამაზე არც ერთი ხელისუფლება არ წავა.

– პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარე უსუფაშვილმა განაცხადა, ამიერიდან თვითონ (ხელისუფლების წარმომადგენლებმა) მოიფიქრონ მოდელი და დაწერონ დასკვნაო.

– დაწერილი აქვთ. უბრალოდ, ისეთი რეალობაა, ოპოზიცია და პოზიცია სხვადასხვა საინფორმაციო სივრცეში საუბრობენ, სხვადასხვა მაყურებელი ჰყავთ. არიან ადამიანები, რომლებიც ყველა არხს უყურებენ და ისე აკეთებენ ანალიზს. არის არხები, რომლებსაც თავიანთი მაყურებელი ჰყავს.

გათვლა იმაზეა, რომ მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი ვერ გაიგებს, სად არის სიმართლე, სად – სიცრუე და ყველა დაიჯერებს იმ პოლიტიკური ლიდერების აზრს, რომელთა მიმართაც მათ სიმპათია გააჩნიათ. ყველაფერი ამაზეა გათვლილი და არა იმაზე, რომ ინგლისურად დაწერილი ტექსტი სწორად წაიკითხონ და გააგებინონ მოსახლეობას.

ოდირი რაში სჭირდება იმას, რომ როგორი საარჩევნო სისტემა

გვექნება, ჩვენი გადასაწყვეტია. როცა საარჩევნო სისტემების აქტიური განხილვა დაიწყო, მაშინ დავწერე, რომ საარჩევნო სისტემის საკითხი ჩვენი გადასაწყვეტია.

მეორე მხარეა საარჩევნო გარემო, საარჩევნო კანონმდებლობა და არჩევნების ჩატარების გამჭვირვალობა, ამ კუთხით საერთაშორისო დამკვირვებლების ჩართულობა თვითონ არჩევნების ჩატარების დროს და მანამდე საარჩევნო გარემოს მონიტორინგი. ეს ჩვენი პარტნიორების საქმეა, რადგან ჩვენ ვართ ამ საერთაშორისო სივრცეში. თუ ამ მოდელით უნდა ჩატარდეს არჩევნები, ეს არის ჩვენი შიდა პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოების კონსენსუსის საგანი.

– სწორედ კონსენსუსზე ამახვილებს ყურადღებას ეუთო/ოდირი.

– ცხადია, სხვა რა უნდა მოგვიწოდოს, ხომ არ გვეტყვიან, არ შეთანხმდეთ და არ ილაპარაკოთო. კონსენსუსი პოლიტიკურ ძალებს შორის დიალოგის შედეგი უნდა იყოს და არა ცალ კარში თამაში. ხელისუფლება ოპოზიციას სთავაზობს 100/50 მოდელს, რომელიც 2000-იანი წლების დასაწყისშია შემუშავებული.

– თუმცა ამ მოდელს ხელისუფლებამ 2024 წლის არჩევნების ბედი მიაბა. როგორც ჩანს, ეს აფერხებს ოპოზიციის მხრიდან ამ მოდელის მიღებას.

– ეს მოდელი 2008 წელს უნდა მიგვეღო, მაგრამ იმ პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც დღეს ათასგვარ მოდელს სთავაზობს ხელისუფლებას, მიიღო ის მოდელი, რომელსაც დღეს აპროტესტებენ. სანამ „ოცნება“ ამ 100/50-ზე მოდელს გააჟღერებდა, თვეების განმავლობაში ვწერდი, ამ გზით წავიდეთ-მეთქი. მაჟორიტართა რიცხვის კიდევ უფრო მეტად შემცირებაც და 45-მდე დაყვანაც შეიძლება.

ჩვენ შეგნებულად კრიზისების გამომწვევი ფორმულირებები არ უნდა ჩავდოთ საარჩევნო კანონმდებლობაში, სხვა ქვეყნების მაგალითზე უნდა ვისწავლოთ. ჩვენ ისეთი სახელმწიფო, დემოკრატიის ისეთი ფუფუნება, გამოცდილება და შეგნება არ გვაქვს, რომ ისევე ავიტანოთ ხშირი სამთავრობო ცვლილებები, როგორც ამას იტალია, ისრაელი და სხვები იტანენ.

თუ მოდელი 2/3 პლუს 1/3 მისაღები იქნება, უნდა შევთანხმდეთ და თავი დავანებოთ ექსპერიმენტებს. არ შეიძლება, ყველა პოლიტიკური ბატალიის შემდეგ ახალ საარჩევნო სისტემაზე ვისაუბროთ. მუდმივი ექსპერიმენტების პირობებში არ უნდა ვიცხოვროთ.

– თქვენ გაჯიუტებაზე მიუთითეთ. მგონი, ოპოზიციას გულისხმობდით.

– არა, მე ზოგადად ყველას ვგულისხმობდი. გაჯიუტება არ შეიძლება. ხელისუფლებამ ოპოზიციას შესთავაზა 100/50 მოდელი. მას შემდეგ შეხვედრა არ მომხდარა. წინასწარ უარს რატომ ამბობენ? დასხდნენ და დაილაპარაკონ.

– მთლიანად პროპორციული სისტემა ხომ იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკურად აქტიური ნაწილი სრულად პოლიტიკურ პარტიებში უნდა იყოს წარმოდგენილი.

– ეს ამ მოდელის მეორე მინუსია. ფიზიკური პირი, რომელიც არც ერთ პარტიაში არ არის გაწევრიანებული, თუ მოინდომებს დეპუტატობას, ამას ვერ შეძლებს სრულად პროპორციული მოდელის პირობებში. ეს, შეიძლება, კონსტიტუციურ უფლებასაც ზღუდავდეს. იქნებ არ მინდა პარტიული საქმიანობა და მეორეც, მოსახლეობისთვის გაუგებარია, რა იდეოლოგიით იქმნებიან პარტიები.

პარტიის სახელწოდებებს ისე ირჩევენ, როგორც მობილურის ნომრებს. პარტიების ნაწილი პროდასავლურია, ნაწილი კი – პრორუსული. თითოეული მიმართულების პარტიაში, შეიძლება, სხვადასხვა იდეოლოგიის ადამიანები იყვნენ. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, პოლიტიკური სპექტრი როგორც არის წარმოდგენილი, მთლიანობაში, ვიცით, რომ მათ არ გააჩნიათ სერიოზული მხარდაჭერა, ხმები ფართოდაა გაფანტული. არჩევნები რომ ჩატარდეს, შესაძლებელია, 20-დან 30 პარტია ვერ გავიდეს, მაგრამ პარლამენტში 7-8 პარტია მაინც მოხვდეს.

– პროპორციული სისტემის პირობებში, შეიძლება, პარლამენტში 30 პარტიის ლიდერი მოხვდეს.

– შეიძლება, თუ პროპორციული და უბარიერო სისტემა იქნება. (შერეული სისტემის პირობებში, შეიძლება, ლიდერებიც ვერ მოხვდნენ). ასეთ პირობებში პროდასავლურ და პრორუსულ ძალებს ურთიერთშეთანხმება და უმრავლესობის შექმნა მოუწევთ. ამის საშიშროება არსებობს. ამ დროს დღეს მათ უნდათ, შემოიტანონ ისეთი მოდელი, რომლის შედეგადაც მთავრობის ჩამოყალიბება ძალიან გაჭირდება, რაც სახელმწიფოსთვის ძალიან ცუდია.

– ორივე მხარის გაჯიუტების ფონზე რას ელოდებით?

– თუ მაინცდამაინც პროპორციულ სისტემას ითხოვენ, მაშინ უნდა ჩაიწეროს კანონში, რომ პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ როგორმე შეძლოს მთავრობის ჩამოყალიბება.

თუ გაჯიუტდებიან და ვერ მივლენ კონსენსუსამდე, არსებული მოდელი უნდა გავაუმჯობესოთ. შემდგომმა პარლამენტმა იფიქროს ხარვეზების გამოსწორებაზე.

– ბოკერიამ განაცხადა, რომ ხელისუფლება ემზადება რიგგარეშე არჩევნების დასანიშნად. ამის საფუძველი არსებობს?

– არა მგონია, ეს მიზანშეწონილი იყოს. ხელისუფლების ნაცვლად ვერ ვისაუბრებ, რა გათვლები აქვთ და რაზე მსჯელობენ, ან რა კვლევები აქვთ.

– შეიძლება, ბოკერიას ხელი მიუწვდებოდეს ხელისუფლების მსჯელობაზე?

– ეს არის ვერსია, ჩვეულებრივად პოლიტიკური ბრძოლისა და პაექრობის ხერხი, რომ ხელისუფლება ამას აპირებს. დღეს არ არის ისეთი დაძაბულობა, კრიზისი, რომ რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს, არც ისეთი სიტუაციაა, რომ ხელისუფლებას უმრავლესობის შენარჩუნების პრობლემა ჰქონდეს.

თუ კრიზისის გამოწვევას ხელოვნურად შეეცდებიან, ეს ძალიან ცუდი იქნება. შეიძლება, რაღაც პროცესები განვითარდეს და ბოკერია ხელისუფლების კრიზისამდე მიყვანას შეეცადოს. ჯერჯერობით ამ ნიშნებს ვერ ვხედავ.

მორის მაჩალიკაშვილს 2 წელი პირობითი მიუსაჯეს და გამოუშვეს

20 ივნისის საქმეზე ბრალდებულ მორის მაჩალიკაშვილს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა და ის სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლეს.

გუშინ, 6 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მხარეთა შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა და მორის მაჩალიკაშვილს სასჯელის სახით 2 წლით პირობითი მსჯავრი განესაზღვრა.

მორის მაჩალიკაშვილმა სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ბრალს აღიარებს, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ პარლამენტში შეჭრა არ უნდოდა.

– პარლამენტში შეჭრა არ მინდოდა, ამას არ ვაპირებდი. ბიძაჩემს ვიცავდი, – განაცხადა მორის მაჩალიკაშვილმა.

სასამართლოდან გამოსულმა მორის მაჩალიკაშვილმა თქვა, რომ გათავისუფლებას არ ელოდა.

– არ ვიცოდი, არ ველოდი გათავისუფლებას. სახლში მივდივარ... დასვენებას ვაპირებ, – განაცხადა მან.

კომენტარი გააკეთა საქმის პროკურორმა გიორგი მუკბანიანმა.

– მორის მაჩალიკაშვილის აღიარების გათვალისწინებით, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ მან მოინანია დანაშაული, ასევე არასადავოდ გახადა მტკიცებულებები, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება, – განაცხადა პროკურორმა.

მისი თქმით, მორის მაჩალიკაშვილმა საქმეში არსებული მტკიცებულებები უდავოდ ცნო, ამასთან, მან დანაშაულიც მოინანია.

– ბრალდებულმა სასამართლო პროცესზე სრულად აღიარა ბრალი. მან წინა სხდომაზე არასადავოდ გახადა მტკიცებულებები, მათში არსებული ინფორმაცია, დაეთანხმა მათ შინაარსსა და მათში არსებულ ინფორმაციას, შესაბამისად, მისი აღიარების გათვალისწინებით, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ მან მოინანია, ასევე არასადავოდ გახადა მტკიცებულებები, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება.

რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების პირობებს, მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობითად იგივე გამოსაცდელი ვადით, – აღნიშნა მუკბანიანმა.

ავტომობილების გაქურდვის ბრალდებით ძმები დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა ძმები – 1993 წელს დაბადებული ა.წ. და 1997 წელს დაბადებული გ.წ. ავტომობილების გაქურდვის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ნაძალადევის რაიონში, ვასილ თამარაშვილისა და გულრიფშის ქუჩებზე, მოქალაქეების კუთვნილი ავტომობილებიდან აკუმულატორები მოიპარეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სამართალდამცველებმა ბრალდებულები მომხდარიდან რამდენიმე დღეში დააკავეს. დაკავებულებმა ნაძალადევის რაიონში მათ მიერ ჩადენილი კიდევ ორი ავტომანქანის გაქურდვის ფაქტი აღიარეს.

სამართალდამცველებმა მოპარული აკუმულატორები ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილ ქურდობის ფაქტებზე მიმდინარეობს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ია პონჩიკის მკვლელობის საქმეზე მოსკოვში მურთაზ შარანდია დააკავეს



მოსკოვში კრიმინალური ავტორიტეტის ვიაჩესლავ ივანკოვის, მეტსახელად „იაპონჩიკის“ მკვლელობის საქმეზე მურთაზ შარანდია დააკავეს.

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტში აცხადებენ, რომ ეჭვმიტანილი იმ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი იყო, რომელმაც ავტორიტეტის მკვლელობა განახორციელა. კერძოდ, შარანდიას ივანკოვზე თვალთვალი ევალებოდა.

გარდა ამისა, სამართალდამცავების თქმით, დაკავებულმა მოსკოვში მკვლელობის იარაღი ჩაიტანა. კრიმინალური ავტორიტეტი ვიაჩესლავ ივანკოვი მოსკოვში 2009 წელს ერთ-ერთი რესტორნიდან გამოსვლისას მძიმედ დაჭრეს, რამდენიმე თვის შემდეგ ის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

თბილისში ინდოეთის მოქალაქე მოკლეს

გუშინ, 6 თებერვალს, ისანში ინდოეთის მოქალაქე მოკლეს.

მოკლული და სავარაუდო დამნაშავე მეზობლები იყვნენ. მათ შორის დავა იმ ტერიტორიის გამო დაიწყო, სადაც ინდოეთის მოქალაქე სახლს იშენებდა.

მოკლულის სიმამრის ინფორმაციით, მეზობლებს შორის დაპირისპირება პირველი შემთხვევა არ არის.

სიმამრის განცხადებით, სავარაუდო დამნაშავემ მის სიძეს სამჯერ ესროლა.

– ჩვენ დავხარჯეთ ბევრი ფული, რომ საქართველოში დავრჩენილიყავით. კარგი ქვეყანაა, მაგრამ ცუდი ხალხი ცხოვრობს. პოლიციასა და მერიას დაახლოებით 100-ჯერ დავურეკეთ და ვთხოვეთ ტერიტორიული კონფლიქტის მოგვარება, მაგრამ არც ერთხელ არ მოსულან.

ადრე ჩემს სიძეს დაარტყა, დღეს კი ის უკვე დავკარგე. ჩემი ქალიშვილი შოკშია, არ ვიცით, სად უნდა წავიდეთ. გუშინ ღამით ჩვენი ღობე და კამერები დაამტვრია, დღეს კი იარაღი მოიტანა მის მოსაკლავად. დღეს დილით, როდესაც მოვედით, სახლში შემოსვლას ცდილობდა, მაგრამ ჩემმა სიძემ ამის უფლება არ მისცა, რის შემდეგაც ჯერ ჰაერში გაისროლა, შემდეგ 3-ჯერ მას ესროლა.

ინვესტიციის განსახორციელებლად ჩამოვედით. დაახლოებით 1 წელია, რაც ეს მიწა ვიყიდეთ და სახლში დაახლოებით 300.000 დოლარი დავხარჯეთ, – განაცხადა გარდაცვლილის სიმამრმა.

გუშინვე პოლიციამ მკვლელობისთვის 1 პირი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1953 წელს დაბადებული გ.მ. განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, ცხელ კვალზე, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მეზობელი, 1986 წელს დაბადებული უცხო ქვეყნის მოქალაქე მ.მ. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა. მიყენებული ჭრილობების შედეგად, მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან მკვლელობის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

სტრასბურმა საქართველოს მთავრობას მარიამ საყვარელიძისთვის 25.000 ევროს გადახდა დააკისრა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „საყვარელიძე საქართველოს წინააღმდეგ“ სახელმწიფოს მოსარჩელის სასარგებლოდ 25.000 ევროს გადახდა დააკისრა.

ევროპულმა სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-2 მუხლი – სიცოცხლის უფლება (პროცედურული ნაწილი).

საქმე ეხება 2003 წლის ნოემბერში თბილისში ე.წ. ვარდების რევოლუციის მოვლენების დროს საპროტესტო აქციების მიმდინარეობის ფონზე მომხდარ ავტოავარიას. ავტომანქანას, რომელშიც პირადად მომჩივანიც იმყოფებოდა, დაეჯახა ჯავშანმანქანა. შედეგად, გარდაცვალნენ მარიამ საყვარელიძის ვაჟი და დ. დაზიანებები მიიღო თავად მარიამ საყვარელიძემაც.

ჯავშანმანქანას, სავარაუდოდ, სამართალდამცავი ან სამხედრო პირი მართავდა.

სამართალდამცავი უწყებები წლების განმავლობაში იძიებდნენ საქმეს. ის რამდენჯერმე დაიხურა და განახლდა კიდეც. 2010 წელს კი პროკურატურამ მარიამ საყვარელიძეს აცნობა, რომ საგამოძიებო ქმედებებით შეუძლებელი იყო იმის დანამდვილებით დადგენა, რა მოხდა 2003 წლის ნოემბერში.

პროკურატურამ საქმე საბოლოოდ 2017 წლის მარტში ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო შეწყვიტა.

მოქალაქე მარიამ საყვარელიძემ ევროსასამართლოს 2010 წელს „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ დახმარებით მიმართა.

ორგანიზაციის ადვოკატ ნესტან ლონდარიძის განცხადებით, საქმე წინა ხელისუფლების დროს შეგნებულად იბლოკებოდა, რათა საზოგადოებაში გაჩენილიყო განცდა, თითქოს „ვარდების რევოლუცია“ მშვიდობიანი და უსისხლო მოვლენა იყო.

– ათი წელი დაგვჭირდა სიმართლის დასადგენად. ამ საქმის გაჭიანურება იმიტომ მოხდა წინა ხელისუფლების დროს, რომ ყველას ჰგონებოდა, თითქოს „ვარდების რევოლუცია“ იყო უსისხლო და მშვიდობიანი. მაშინ როდესაც ყველაფერი ხელისგულზე იდო, არ იყვნენ დაკითხული ის პირები, დამნაშავეები, რომელთა იდენტიფიცირებაც მოხდა. გამოვლენილი იყო ჯავშანტექნიკის მძღოლი, რომელიც დაეჯახა ავტომანქანას. ეს იყო თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი.

ნაციონალური მოძრაობის დროს გასაგები იყო, რომ საქმეს შეგნებულად ბლოკავდნენ, მაგრამ უცნაური ის არის, რომ მოქმედმა ხელისუფლებამ საერთოდ დააბრუნა სამინისტროში ეს პირი. ჩვენი ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო პერიოდში ეს ადამიანი თავდაცვის სამინისტროდან გაათავისუფლეს. „ქართულმა ოცნებამ“ კი იგი კვლავ დააბრუნა უკან, – უთხრა ამბებს ადვოკატმა.

ფოთში 30 წლის მამაკაცს ეძებენ

ფოთში უკვე რამდენიმე დღეა, ახალგაზრდა მამაკაცს ეძებენ. 30 წლის მამაკაცი სახლიდან დაახლოებით 1 კვირის წინ გავიდა, რის შემდეგაც ოჯახს მასზე არაფერი სმენია.

ახლობლების თქმით, დაკარგული მამაკაცის კუთვნილი ავტომობილი ქალაქის გასასვლელში, მდინარე რიონთან არსებულ ხიდთან იპოვეს.

როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში ამბობენ, დაკარგული მამაკაცის სამძებრო სამუშაოები რიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს.

საქმე აღძრულია 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას ითვალისწინებს.

შს მინისტრის მოადგილე და სამინისტროს წარმომადგენლები სტრასბურში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტისა და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლები სასწავლო ვიზიტით ქალაქ სტრასბურში იმყოფებოდნენ.

ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე ლადო ჭანტურიამ, ამავე სასამართლოს იურისტებმა და ევროპის საბჭოს ექსპერტებმა ისაუბრეს წამების, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის სტანდარტებზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებულ რეკომენდაციებსა და ბავშვზე მორგებული გარემოს არსებობის აუცილებლობაზე. შეხვედრების მონაწილეებმა ასევე განიხილეს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების რეგულირების მექანიზმები და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხები.

მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილმა ამავე შეხვედრებზე ისაუბრა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულებისა თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღწეულ პროგრესზე, გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე. მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა ევროპის საბჭოსთან სამინისტროს წარმატებული თანამშრომლობის პრაქტიკას და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

სასწავლო ვიზიტი ევროპის საბჭოს პროექტის – „არასრულწლოვან და სრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირთა მხარდაჭერა“ – ფარგლებში ჩატარდა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

აშშ-ის სენატმა ტრამპი გაამართლა

სენატში ტრამპის იმპიჩმენტთან დაკავშირებით მოსმენები დასრულდა. აშშ-ის პრეზიდენტს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და კონგრესის გამოძიებაში ხელის შეშლა ედებოდა ბრალად. როგორც მოსალოდნელი იყო, სენატორთა უმრავლესობამ ტრამპს დაუჭირა მხარი.

სენატში უმრავლესობას რესპუბლიკური პარტიის წევრები წარმოადგენენ. შესაბამისად, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ სენატი ტრამპის იმპიჩმენტს მხარს დაუჭერდა.

როგორც რესპუბლიკელები, ასევე დემოკრატები ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ უკრაინის მიმართ ტრამპი არასწორად მოიქცა. ამავე დროს, დემოკრატები თვლიან, რომ ტრამპმა ამერიკას ზიანი მიაყენა და იმპიჩმენტს იმსახურებს. რესპუბლიკელები კი ამტკიცებენ, რომ ეს ასე არ არის და ფაქტები იმპიჩმენტისთვის არაა საკმარისი.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკელებს უმრავლესობა ჰქონდათ, დებატებმა დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა. ბრალდების პირველ პუნქტს, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას, მხარი დაუჭირა 48 სენატორმა, წინააღმდეგი წავიდა 58. მეორე პუნქტს, კონგრესის გამოძიებისათვის ხელის შეშლას, მხარი დაუჭირა 47-მა სენატორმა; 53-მა განაცხადა, რომ აღნიშნული ბრალდება სინამდვილეს არ შეესაბამება.

სენატორმა რესპუბლიკელებმა მხარი დაუჭირეს ტრამპს. გამონაკლისი იყო მხოლოდ სენატორი მიტ რომნი, რომელმაც ტრამპის წინააღმდეგ მისცა ხმა.

ამრიგად, დაძაბულ ბრძოლაში რესპუბლიკელებმა, მართალია, მცირე უპირატესობით, მაგრამ გაიმარჯვეს. ტრამპს ბრალდებები მოეხსნა. აშშ-ის პრეზიდენტი გამართლდა.

ევროპაში ნატოს სწავლებები დაიწყო

ჰოლანდიაში ნატოს სწავლებები დაიწყო. მასში მონაწილეობას მიიღებს 20.000-მდე ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებიც აშშ-დან ევროპაში სპეციალურად გადაისროლეს.

აშშ-ის ხელმძღვანელობის ამ ნაბიჯმა უნდა დაარწმუნოს ყველა, რომ ვაშინგტონი კვლავაც ტრანსატლანტიკური ინტეგრაციის იდეის ერთგულია.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა მომხდართან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ რუსეთი ნატოს ესოდენ ფართომასშტაბიანი სწავლებით შეშფოთებულია. ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა პასუხად განაცხადა:

– ნატოს სწავლებები არც რუსეთის, არც რომელიმე სხვა ქვეყნის წინააღმდეგ არ არის მიმართული.

ბელორუსი: რუსეთთან კავშირის მომხრეთა რაოდენობა შემცირდა

პუტინის აგრესიულმა პოლიტიკამ ბელორუსის მიმართ საპირისპირო ეფექტი იქონია.

რუსეთ-ბელორუსის ერთიან სამოკავშირეო სახელმწიფოს მომხრეთა რაოდენობა 20%-ით შემცირდა. თუ 2019 წლის თებერვალში სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნას 62% უჭერდა მხარს, ახლა ეს ციფრი 42%-ია.

ამავე დროს, მკვეთრად იზრდება იმათი რაოდენობა, ვინც ბელორუსის ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეა. ამ უკანასკნელთა შორის ახალგაზრდობა დომინირებს.

– ბელორუსი უკრაინის გზით მიდის! ჩვენს ხელისუფლებას მოვუწოდებ, ამას ყურადღება მიაქციოს! – განაცხადა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ.

სტამბოლის აეროპორტში იზმირი-სტამბოლის ბორტი ხევში ჩავარდა

3 ადამიანი დაიღუპა, 179 კი დაშავდა

სტამბოლის აეროპორტში მომხდარი ინციდენტის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა, 179 კი დაშავდა.

– ევაკუირებული ადამიანებიდან 3 ინციდენტის დროს მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა, მკურნალობას 179 ადამიანი გადის, – განაცხადა თურქეთის ჯანდაცვის მინისტრმა ფაჰრეტინ კოჩამ.

5 თებერვალს ავიაკომპანია „პეგასუსის“ კუთვნილი სამგზავრო თვითმფრინავი ბოინგ 737-800 სტამბოლის საბიჰა გოქჩენის აეროპორტში დაფრენის დროს მოცურდა, ხევში ჩავარდა, სამ ნაწილად გაიყო და ცეცხლი გაუჩნდა.

თვითმფრინავი იზმირი-სტამბოლის რეისს ასრულებდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მულტიმილიონერმა ლატარიაში მილიონი მოიგო

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ დარემის მკვიდრმა ლატარიაში მილიონი დოლარი მოიგო.

2018 წლის აგვისტოში ლინდა ტეიტმა ლატარიაში მსხვილი ჯეკპოტი, ოთხი მილიონი დოლარი მოხსნა. მიმდინარე წელს მან გადაწყვიტა, ისევ ეცადა ბედი და ადგილობრივ მაღაზიაში 30-დოლარიანი მომენტალური ლატარიის ბილეთი შეიძინა.

შედეგად ტეიტმა კიდევ ერთხელ მოიგო მილიონი დოლარი. ქალს არ დაუზუსტებია, რაში აპირებს მოგებული თანხის დახარჯვას.

ჯიჯი ჰადიდი მოდური ჟურნალისთვის გაშიშვლდა

ამერიკელმა სუპერმოდელმა ჯიჯი ჰადიდმა ბრიტანული ჟურნალის Vogue-სთვის გამართულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. მისი ფოტოსურათები ტვიტერში ფან-გვერდზე გამოქვეყნდა.

ერთ-ერთ კადრში 24 წლის მოდელი ტომრისებურ ცისფერ ჯინსებში გამოწყობილი და შიშველ მკერდზე ხელებაფარებული პოზირებს. სხვა ფოტოებზე ის გამოწყობილია პასტელის ფერებში გადაწყვეტილ პერანგებსა და პიჯაკებში, ასევე დიზაინერულ შარვლებსა და შორტებში. ფეხზე კი აცვია წითელი ფერის ფეხსაცმელი, რომლებშიც თეთრი წინდები უჩანს.

აღნიშნული ფოტოსესიის ავტორი გახდა ფოტომხატვარი ზოი გერტნერი. ფოტოსურათები ჟურნალის მარტის ნომერში გამოქვეყნდება.

ბილ გეიტსის ქალიშვილი ეგვიპტელ მხედარზე დაინიშნა

ბილ გეიტსის ერთ-ერთი ქალიშვილი ეგვიპტელ მხედარ ნაიელ ნასარზე დაინიშნა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

23 წლის ჯენიფერ კატარინა გეიტსმა ნიშნობის თაობაზე ინფორმაცია ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. ფოტოსურათზე ის თოვლში მომღიმარ ეგვიპტელთან ერთად ზის, თითზე კი მის მიერ ახლახან ნაჩუქარი ნიშნობის ბეჭედი უბრწყინავს.

მაიკროსოფტის დამაარსებლის ბილ გეიტსის ქალიშვილი ჯენიფერ გეიტსი სამედიცინო განათლებას სტენფორდის უნივერსიტეტში ეუფლება. შეგახსენებთ, რომ ბილ გეიტსი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების რეიტინგში მეორე ადგილზე იმყოფება და მისი ქონება 110 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

გოგონას საქმრო გახდა 28 წლის ნაიელ ნასარი – ცნობილი ეგვიპტელი სპორტსმენი, რომელიც კონკურით და წინაღობების გადალახვითაა დაკავებული. ის კუვეიტში გაიზარდა და განათლება სტენფორდის უნივერსიტეტში მიიღო.

მუშამ მშენებლობაზე შემთხვევით XVII საუკუნის განძი იპოვა

ინგლისის ვუსტერშირის საგრაფოში მუშამ მშენებლობაზე შემთხვევით უძველესი ღვინის ბოთლები იპოვა, რომლებიც 20 ათას ფუნტ სტერლინგად შეფასდა.

მეექსკავატორე XVII საუკუნის განძს გასული წლის ნოემბერში გადააწყდა, როდესაც მომავალი ნაგებობისთვის საძირკველს თხრიდა. მან მიწაში შვიდი ღვინისთვის განკუთვნილი შუშის ბოთლი შენიშნა, რომელთაც ქოვენთრის გრაფების გერბი ამშვენებდათ.

ექსპერტების შეფასებით, 20 სანტიმეტრიანი ოქროს მტვრით დაფარული ჭურჭელი ინგლისის მეფე კარლ II-ს დროსაა დამზადებული.

სავარაუდოდ ბოთლები ჯორჯ ვილიერსისთვის, ბეკინჰემის მეორე ჰერცოგისა და ქოვენთრის მეორე ჰერცოგისთვის დაამზადეს, რომელიც ვუსტერშირის მამულში ცხოვრობდა. აუქციონერ ალან ბლეიკმანის თქმით, 1600-იანი წლების ბოლოს მხოლოდ ძალიან მდიდარ ადამიანს შეეძლო ჰქონოდა საკუთარი გერბიანი მოოქროვილი ღვინის ბოთლები. აღსანიშნავია, რომ ვილიერსი მინის წარმოებით იყო დაინტერესებული და სამ მინის მწარმოებელ ქარხანას ფლობდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

მესი და ბარსელონა

იტალიური მედია საინტერესო და სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს – მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთმა უმთავრესმა ვარსკვლავმა ლიონელ მესიმ ზაფხულში, შესაძლოა, ესპანური ბარსელონა დატოვოს. არადა, 32 წლის ფეხბურთელი ბარსას ღირსებას 2004 წლიდან იცავს და აქამდე, მისი კლუბიდან წასვლის საკითხი სერიოზულად არც განიხილებოდა.

არგენტინელ ფორვარდს კლუბში სიტუაცია მას შემდეგ აერია, რაც კატალონიური გრანდის ყოფილ თავკაც ერნესტო ვალვერდესთან დაკავშირებული განცხადების გამო, კლუბის სპორტულ დირექტორ ერიკ აბიდალს დაუპირისპირდა. იმასაც ამბობენ, რომ ლეოს მუდმივი ზეწოლის ქვეშ ყოფნა მოსწყინდა, თანაც ლამის ყველაფერზე პასუხისმგებლობა ეკისრება.

მის გადაბირებას კი ერთბაშად 5 ევროპული გრანდი ეცდება – მანჩესტერული სიტი და იუნაიტედი, იუვენტუსი, ინტერი და პსჟ.

გაგიკვირდებათ და აქ მთავარ ფავორიტად მანჩესტერ სიტი მიიჩნევა. ალბათ შემთხვევითიც არ არის, რომ ამაზე მინიშნება სოციალურ ქსელში თავად სიტიმაც გააკეთა.

შემტევს ჩინებული ურთიერთობა აქვს მანჩესტერული გუნდის მთავარ მწვრთნელ პეპ გვარდიოლასთან, აღმასრულებელ დირექტორ ფერან სორიანოსთან და სპორტულ დირექტორ ჩიკი ბეგირისტაინთან, რაც, შესაძლოა, გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდეს.

ცნობილია, რომ კონტრაქტის თანახმად, ლეოს სეზონის ბოლოს ბარსელონის დატოვება უფასოდ შეუძლია. მანჩესტერ სიტი კი ლამის ერთადერთია, ვისაც არგენტინელის ხაზინას წლიურად 50 მილიონი გირვანქა სტერლინგით შეავსებს.

იტალიური მედიიდან სხვა ევროპულმა გამოცემებმაც აიტაცეს. მესის შესახებ გავრცელებულმა ცნობებმა აქტუალური გახადა ხოსეპ გვარდიოლას ინტერვიუ იუთუბერ დიჯეიმარიოსთან, რომელიც მის არხზე გამოქვეყნდა.

ინტერვიუში მანჩესტერ სიტის მთავარი მწვრთნელი ლიონელ მესის ბარსელონიდან შესაძლო წასვლაზე საუბრობს და აცხადებს, რომ თუ არგენტინელი სუპერვარსკვლავი კატალონიური გრანდიდან წავა, ამას ბარსასთვის ისეთივე შედეგი ექნება, როგორიც კრიშტიანუ რონალდუს რეალიდან წასვლას ჰქონდა მადრიდული გრანდისთვის.

პეპ გვარდიოლა:

– როცა მესი ბარსელონიდან წავა, კატალონიურ გრანდს დასჭირდება დრო ადაპტაციისთვის. ყველამ იცის, რა პრობლემები შეექმნა რეალს მას მერე, რაც გუნდი რონალდუმ დატოვა. ეს აბსოლუტურად ლოგიკური იყო, რადგან ასეთი ფეხბურთელები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. როცა მესი ბარსელონიდან წავა, კატალონიურ გრანდსაც დასჭირდება დრო ადაპტაციისთვის. ამ ბიჭებს სეზონში 40-50 გოლი გააქვთ და მათი წასვლით გამოწვეულ პრობლემებს ვერავინ გაექცევა.

შეგახსენებთ, რომ კრიშტიანუ რონალდუმ რეალი 2018 წლის ზაფხულში დატოვა. პორტუგალიელის გარეშე მადრიდელებმა პირველ სეზონში მხოლოდ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მოიგეს, ჩემპიონთა ლიგიდან კი, რომელიც ზედიზედ 3-ჯერ ჰქონდათ მოგებული, მერვედფინალიდან გავარდნენ.

ტორპედო გადარჩენის გზაზეა

დიდი ზარ-ზეიმით გვატყობინებენ, რომ იტალიელ ინვესტორთან შეთანხმება მიღწეულია და ქუთაისის ტორპედო გადარჩა. ეს არ არის ცუდი ფაქტი... ცუდი ის არის, რომ საქმე აქამდე მივიდა.

ქუთაისის ტორპედოს ყოფილმა მფლობელმა ზაალ ჩაჩავამ კლუბი დავალიანებაში დატოვა, რის გამოც გუნდს მე-4 ლიგაში დაქვეითება ემუქრებოდა. ბოლო დროს ახალ ინვესტორთან მოლაპარაკებებიც ძალიან გაიწელა. შედეგად, ყველა ეჭვის თვალით უყურებდა იტალიელი ინვესტორების სავარაუდო გამოჩენას. ტორპედოს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან გულშემატკივრობდნენ, გვერდით ედგა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც, რომელმაც დავალიანების დასაფარი ვადა გადაუწია.

საბედნიეროდ, ქუთაისის ტორპედო და მასთან ერთად ეროვნული ლიგის 2020 წლის სეზონი გადარჩენილია, რამაც არა მარტო ქუთაისელი, არამედ ქართული ფეხბურთის ქომაგი გაახარა.

ეს ქუთაისის მერიაში გამართული შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი, სადაც იტალიელ ინვესტორთა ჯგუფი იმყოფებოდა, მათ შორის იყო ფაბრიციო მანინო, რომელიც ქუთაისის ტორპედოს შეძენით ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული.

იტალიელებს შეხვდნენ იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე და ქუთაისის მერი გიორგი ჭიღვარია. მოლაპარაკება დასრულდა და საინტერესო დეტალებიც გაცხადდა.

ქუთაისის მერიის მიერ შეთავაზებულ პირობებზე იტალიელმა ინვესტორებმა თანხმობა განაცხადეს. თუმცა, ეს ჯერ კიდევ სიტყვიერი შეთანხმებაა. ტორპედოში ახალი მფლობელის მისვლა იურიდიულად მას შემდეგ გაფორმდება, რაც მოლაპარაკებები მიმდინარე ტექნიკურ საკითხებზე კვირის ბოლოსთვის დასრულდება.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულთან მნიშვნელოვან თემაზე – გარანტიებზე ილაპარაკეს, რაც წინა მეპატრონის ისტორიიდან გამომდინარე გასაკვირიც არ ყოფილა. კლუბს გარანტირებული უნდა ჰქონდეს სტაბილური დაფინანსება და ფეხბურთელების მყარი კონტრაქტები, რომლის პირობებიც არ დარღვევა.

იტალიელმა ინვესტორმა დააფიქსირა, რომ მისი მთავარი მიზანი გუნდის მოღონიერება და ეროვნულ ლიგასა თუ ევროსარბიელზე ღირსეული გამოსვლა იქნება. ამავე დროს, განაცხადა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებითაა დაინტერესებული. ანუ, მისი საუბრიდან გამოიკვეთა, რომ იტალიელ ინვესტორებს „რამაზ შენგელია არენისა“ და საღორიას საფეხბურთო ბაზის საკუთრებაში აღებაც სურთ.

გიორგი ჭიღვარია:

– იტალიელ ინვესტორთან შეთანხმება მიღწეულია და პრობლემა გადაჭრილი. ტორპედო პირველი მარტიდან გუნდი ეროვნულ ლიგაში ითამაშებს. დარჩა ტექნიკური საკითხები, რომლებიც კლუბის გადაცემასთანაა დაკავშირებული.

ფაბრიციო მანინო:

– საქართველოში იმიტომ ვიმყოფებით, რომ ქუთაისის ტორპედო შევიძინოთ. ამ საკითხს ქალაქის მერიისა და რეგიონის ხელმძღვანელებთან განვიხილავდით. ველოდებით, რომ მოლაპარაკება მაქსიმალურად მალე დასრულდება და გუნდი ჩვენს საკუთრებაში გადმოვა. ამავე დროს, მოლაპარაკებას ვაწარმოებთ სპონსორებთან და იმედი გვაქვს, ეს საკითხიც დადებითად გადაწყდება. უპირველესად, გვსურს, რომ ინვესტიცია საფეხბურთო კლუბსა და მის ინფრასტრუქტურაში ჩავდოთ. ტორპედო უნდა გახდეს ძლიერი, ყველასთვის ანგარიშგასაწევი გუნდი, რომლის მიზანიც ევროტურნირებზე ღირსეული გამოსვლა იქნება.

იუვენტუსს სანე და ჟორჟინიო უნდა

ბრიტანული და იტალიური მედიის ცნობით, მანჩესტერ სიტის გერმანელი შემტევი ლეროი სანე, შესაძლოა, ზაფხულში ტურინის იუვენტუსს შეუერთდეს.

არაერთი წყაროს მტკიცებით, მისი ინგლისიდან აბარგება პრაქტიკულად გადაწყვეტილია. ერთია, „ბიანკონერის“ სერიოზული კონკურენცია ელის მიუნხენის ბაიერნის სახით.

ბავარიელები გასულ ზაფხულსაც აწარმოებდნენ სიტის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებს, მაგრამ მაშინ შეთანხმების მიღწევა ვერ შეძლეს.

თავის მხრივ, იუვენტუსი დუგლას კოშტას ტრანსფერთან დაკავშირებით ეჭვებშია და არაა გამორიცხული, შეელიოს, მიღებული ფინანსებით კი, სწორედ სანე გაიფორმოს, რომლის ღირებულება 50-60 მილიონი დოლარია.

სამაგიეროდ, მირალემ პიანიჩის ტურინული დღეებია დათვლილი. ასეთ ხმაურიანი განცხადება არაერთმა იტალიურმა წყარომ გამოაქვეყნა და ამის მიზეზი მის მიმართ მაურისიო სარის უკმაყოფილებაა. საქმე პირად ურთიერთობას არ ეხება. მხარეებს შორის არანაირი კონფლიქტი არ არსებობდა. თემა უშუალოდ საფეხბურთო მოედნის გარშემოა.

სარი ტურინში მოსვლის პირველივე წამიდან ამბობდა, რომ მის სათამაშო ფილოსოფიაში მირალემს ფუნდამენტური როლი ექნებოდა. თუმცა, ჯერჯერობით მწვრთნელმა ვერ მიიღო მისგან ის, რასაც ელოდა და დიდი ალბათობით ფაბიო პარატიჩის მის გასხვისებაზე დასთანხმდება.

რა ხდება ალტერნატიულ ფრონტზე? ჟორჟინიოს აგენტის კომენტარმა ამ მხრივ გარკვეული კონტურები უკვე მოხაზა:

– იუვენტუსი? რატომაც არა? უდავოდ განსაკუთრებულ გუნდზე ვსაუბრობთ და იქ მოხვედრაზე ყველა ოცნებობს. თამამად გეტყვით, რომ ველი უახლოეს პერიოდში წინადადებას, რომელიც, ვფიქრობ, დიდ დაინტერესებას გამოიწვევს.

ნატურალიზებული იტალიელი შუახაზელი სწორედ სარისთან მუშაობით გახდა თავის პოზიციაზე ერთ-ერთი საუკეთესო.

ფეხბურთი

5 თებერვალი

ფეხბურთი

ინგლისი. ასოციაციის თასი

ტოტენჰემი-საუთჰემპტონი 3:2

გერმანია. თასი

ლევერკუზენი-შტუტგარტი 2:1

ფერლი-უნიონი 0:1

ბაიერნი-ჰოფენჰაიმი 4:3

ზაარბრიუკენი-კარლსრუე 0:0 (5:3პ)

ესპანეთი. სამეფო თასი

მირანდესი-ვილიარეალი 4:2

იტალია. სერია ა

ლაციო-ვერონა 0:0

სატუნინიო ცხრილი:

1.იუვენტუსი	22	17	3	2	43-21	54
2.ინტერი	22	15	6	1	44-18	51
3.ლაციო	22	15	5	2	52-20	50
4.ატალანტა	22	11	6	5	59-30	39
5.რომა	22	11	6	5	40-27	39
6.კალიარი	22	8	8	6	38-34	32
7.პარმა	22	9	5	8	31-29	32
8.მილანი	22	9	5	8	23-27	32
9.ვერონა	22	8	7	7	26-23	31
10.ნაპოლი	22	8	6	8	34-31	30
11.ბოლონია	22	8	6	8	34-34	30
12.ტორინო	22	8	3	11	26-39	27
13.სასუოლო	22	7	5	10	36-37	26
14.ფიორენტინა	22	6	7	9	25-32	25
15.უდინეზე	22	7	3	12	19-35	24
16.სამპდორია	22	5	5	12	22-37	20
17.ლეჩე	22	4	7	11	27-42	19
18.ჯენოა	22	3	7	12	23-43	16
19.სპალი	22	4	3	15	16-38	15
20.ბრეშა	22	4	3	15	20-41	15

საფრანგეთი. 1 ლიგა

ბრესტი-ბორდო 1:1

ლიონი-ამიენი 0:0

მონპელიე-მეცი 1:1

ნიმი-დიჟონი 2:0

რეიმსი-ნიცა 1:1

ტულუზა-სტრასბური 0:1

სტ.ეტიენი-მარსელი 0:2

სატუნინიო ცხრილი:

1.პსჟ	23	19	1	3	59-15	58
2.მარსელი	23	13	7	3	32-21	46
3.რენი	23	12	4	7	29-22	40
4.ლილი	23	11	4	8	27-25	37
5.მონპელიე	23	9	7	7	31-27	34
6.ლიონი	23	9	6	8	35-21	33
7.რეიმსი	23	8	9	6	22-16	33
8.ნიცა	23	9	6	8	33-31	33
9.სტრასბური	23	10	3	10	28-28	33
10.მონაკო	23	9	5	9	38-39	32
11.ნანტი	23	10	2	11	22-24	32
12.ბორდო	23	8	7	8	31-25	31
13.ანჟე	23	8	6	9	24-30	30
14.ბრესტი	23	7	8	8	29-31	29
15.სტ.ეტიენი	23	8	4	11	25-37	28
16.მეცი	23	6	9	8	23-30	27
17.დიჟონი	23	6	6	11	19-26	24
18.ნიმი	23	5	6	12	21-36	21
19.ამიენი	23	4	8	11	24-41	20
20.ტულუზა	23	3	4	16	21-48	13

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

დიმიტრი (მიტო) შარაშენიძის

გამოსათხოვარი



82 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ალპინისტი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, უსაყვარლესი მეგობარი, ნაღდი თბილისელი.

1976 წელს ტიანშანის მთებში მწვერვალ ჯიგიტის ურთულესი მარშრუტით დალაშქვრისათვის ქართველმა ალპინისტებმა, გივი ქართველიშვილის თაოსნობით, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და ოქროს მედლები დაიმსახურეს. ამის გარდა, იყო სხვა მწვერვალებიც როგორც პამირის, ასევე ტიანშანის მთებში. ყველა ამ ექსპედიციაში წამყვანი ადგილი ეჭირა ჩვენს მიტოს. ამასთანავე, იგი იყო არა მარტო ცნობილი მთამსვლელი, არამედ წარმატებული მეცნიერ-მუშაკიც. მან ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვში და შემდგომი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა თბილისში მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეტალურგიულ სექტორში, რომელსაც მაშინ ცნობილი სპეციალისტი შოთა კაციტაძე ხელმძღვანელობდა. მიტო იყო ღრმად განათლებული და ერუდირებული პიროვნება. მას ერთგულებაში ბადალი არ ჰყავდა როგორც მთაში, ასევე ბარში. როგორც ალპინისტი, ძალასა და ენერგიას არ იშურებდა ახალგაზრდა სპორტსმენებთან მუშაობაში. მის ხელში არაერთი ცნობილი ალპინისტი აღიზარდა.

სამწუხაროდ, იგი გვიან დაოჯახდა. მისი მეუღლე, შესანიშნავი პიროვნება, ასევე ცნობილი ქიმიკოსი ნატა რაზმაძე 2012 წელს გარდაიცვალა. მათ შვილები არ ჰყავდათ, მაგრამ მათ ოჯახს მზრუნველობასა და სითბოს არ აკლებდნენ ახალგაზრდები, განსაკუთრებით კი დისშვილები და შვილიშვილები.

ჩვენო საყვარელო მიტო, მთასა და ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებულო კაცო, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა!

მეგობრები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ესპანელი აზნაური; 2. პოლიტიკური პარტია საქართველოში; 3. ნედლი თევზისგან მომზადებული იაპონური კერძი; 5. უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. რაიმეს ზედაპირის ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა; 7. ფრანგი კომედიოგრაფი, „ფიგაროს ქორწინების“ ავტორი; 11. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 14. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 15. თოფის, რევოლვერის ნაწილი; 16. ქართველი სუმოისტი; 17. დენის ძალის საზომი ერთეული; 19. სპორტული ან სასეირნო ნავი; 20. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება.

თარაზულად: 1. ბრიტანეთის ნაწილი; 4. პლასტიკურ და რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება; 8. ჩეხური საავტომობილო კომპანია; 9. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 10. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 12. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 14. საკერავი მანქანის ნაწილი; 15. უეფას პრეზიდენტი; 16. სხვისი შვილების გამზრდელი ქალი; 18. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 21. ფრანგული მინერალური წყალი; 22. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 23. თვითმართული წყალქვეშა ჭურვი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გარინჩა; 2. ჰეპატიტი; 3. ესკიმო; 5. კალევალა; 7. მცონარა; 9. მურვანიძე; 13. მისტიკა; 15. ორფოლო; 16. შულერი; 18. ონიმა.

თარაზულად: 4. ბარაკონი; 6. კლემენსი; 8. ცივილიზაცია; 10. ჭანჭური; 11. რომი; 12. არაგვი; 14. ტონგა; 17. გნომი; 19. ოფურო; 20. აერობუსი; 21. ეტლი; 22. პორტვეინი; 23. ტაქტიკა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბრეცია; 2. ქააბა; 3. ტუბა; 5. ტიფანი; 6. კეინი; 7. ბროკერი; 11. ნესკრა; 13. არაბული; 14. ფაცხა; 15. გახარია; 16. ატლანტა; 17. ონაგრი; 19. აღაპი; 20. ჯაზი.

თარაზულად: 1. ბოქსიტი; 4. კონტე; 8. ბორდო; 9. ფითი; 10. ციბონა; 12. იკებანა; 14. ფოკა; 15. გიორგობა; 16. აქცია; 18. პრადა; 21. არმია; 22. ტონზურა; 23. პარხალი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8612

ევრო — 3.1479

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7107

100 რუსული რუბლი — 4.5567

ამინდის პროგნოზი 7 თებერვლისთვის

11 თებერვლიდან

კორნელი ბოროზდინი სამეგრელო და სვანეთი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

რამაზ იოსელიანი თავისუფალ თეატრში დაბრუნდა

ფოთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მსახიობი რამაზ იოსელიანი თავისუფალ თეატრში დაბრუნდა.

13-წლიანი პაუზის შემდეგ მსახიობი მონაწილეობას მიიღებს სპექტაკლში „კომედიანტები“, რომელიც ამ თეატრის რეპერტუარში ერთ-ერთი გამორჩეული წარმოდგენაა და სავიზიტო ბარათად არის მიჩნეული.

რეჟისორ ავთო ვარსიმაშვილის მიერ დადგმული და აღდგენილი სპექტაკლი მაყურებლისთვის 8 თებერვალს გათამაშდება.

მიხეილ თუმანიშვილი 99 წლის გახდებოდა



ქართული თეატრის ერთ-ერთი გამორჩეული რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი 99 წლის გახდებოდა.

იგი მისმა მოსწავლეებმა დიდი მადლიერებით გაიხსენეს.

მიხეილ თუმანიშვილმა ქართულ კულტურას არაერთი ნიჭიერი თაობა აღუზარდა, 42 წლის წინ კი თბილისში კინომსახიობთა თეატრი დააარსა, სადაც თავის მოწაფეებთან ერთად დაუვიწყარი სპექტაკლები განახორციელა. მის მიერ დადგმული ერთ-ერთი სპექტაკლი „ბაკულას ღორები“ კი კინომსახიოთა თეატრში დღემდე რეპერტუარშია და ყოველი ახალი თეატრალური სეზონი, ტრადიციულად, სწორედ ამ სპექტაკლით იხსნება.

რეჟისორის გარდაცვალების შემდეგ თეატრს მიხეილ თუმანიშვილის სახელი ეწოდა.

რეჟისორის სახელის უკვდავსაყოფად მისმა ერთ-ერთმა მოსწავლე ქეთი დოლიძემ დააარსა ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“, რომელსაც მიხეილ თუმანიშვილის სახელი მიანიჭა.

ასტროპროგნოზი

7 თებერვლისთვის

ვერძი – პროვოკაციული დღეა. ბედი გამოცდას გიწყობთ. იზრდება ტრავმების მიღების ალბათობა. თუ გსურთ, წარმატებას მიაღწიოთ, მაქსიმალური თავშეკავება და მოთმინება გმართებთ. **კურო** – ცოდნის არეალის გასაფართოებლად, სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი პერიოდია. საყვარელი ადამიანისგან სასიხარულო ინფორმაციას მიიღებთ. **ტყუპები** – დილიდანვე კონფლიქტია მოსალოდნელი. ქედმაღლობა ცუდ შედეგებამდე მიგიყვანთ. იყავით წინდახედული და სულგრძელი. **კირჩხიბი** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. მელანქოლიური დღეა, თუმცა საამისო მიზეზი არ გაქვთ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ხელმძღვანელ პირებთან და საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა წარმატებას მოგიტანთ. დღეს გაცნობილი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. **ქალწული** – პროვოკაციული დღეა. ბედი გამოცდას გიწყობთ. იზრდება ტრავმების მიღების ალბათობა. თუ გსურთ, წარმატებას მიაღწიოთ, მაქსიმალური თავშეკავება და მოთმინება გმართებთ. **სასწორი** – გელით როგორც სასიხარულო, ისე უსიამოვნო მოულოდნელობები. იყავით მაქსიმალურად ტაქტიანი. წინდაუხედავი გამონათქვამები კონფლიქტს გამოიწვევს. **ღრიანკალი** – დამშვიდდით და ეცადეთ, ცხოვრებისგან სიამოვნება მიიღოთ. ნერვებს გაუფრთხილდით. ემოციებს არ აჰყვეთ. **მშვილდოსანი** – დღეს მაქსიმალური წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უნდა გამოიჩინოთ. ეს განსაკუთრებით მამაკაცებს ეხება. ნუ იქნებით ამპარტავანი. **თხის რქა** – კოლექტიური საქმიანობა სასარგებლო იქნება. დიდხანს მარტო დარჩენას პლანეტები არ გირჩევენ. **მერწყული** – ერიდეთ სკანდალურ სიტუაციებს, განსაკუთრებით ოჯახის წევრებთან. დღეს ძალიან გაგიმართლებთ, დასახულ მიზანს იოლად მიაღწევთ. **თევზები** – ოჯახში წვრილმანი უსიამოვნება გელით. ფინანსური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ჯანმრთელობას მიხედეთ. კარგი იქნება, თუ ორგანიზმის გამწმენდ პროცედურებს ჩაიტარებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ცოლი ტელეფონზე საუბარს დაამთავრებს და ყურმილს კიდებს. ტელევიზორის ყურებით გართული ქმარი ეკითხება:

– ვინ იყო?

– დედაჩემი და, მგონი, ცოტათი ურევს.

– აჰა, ე.ი. ცოტათი გამომჯობინებულა.

●●●

ორი დაქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გადავწყვიტე, სანამ 25 წლის არ გავხდები, არ გავთხოვდები!

– მე კი გადავწყვიტე, რომ მანამდე არ გავხდები 25 წლის, სანამ არ გავთხოვდები!

●●●

დედა შვილს აღვიძებს:

– ადექი, შვილო, მაღვიძარა რეკავს!

– უთხარი, რომ გადავურეკავ...

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემი ქმარი სათევზაოდ წავიდა და ანკესი კი სახლში დატოვა...

– მერე, შენ რას ფიქრობ?

– რას და მგონი მეორე ანკესიც აქვს.

●●●

ცოლი ქმარს ეჩხუბება:

– დავიღალე, ყოველდღე მთვრალი მოდიხარ. ერთი დღე მაინც მოსულიყავი სახლში ფხიზელი, სადღესასწაულოდ ინდაურს დავკლავდი, საცივს გავაკეთებდი...

მეორე დღეს ეზოში გასულ ცოლი ხედავს, მთვრალი ქმარი ინდაურს ეხუტება და ეუბნება:

– ნუ გეშინია, შენ კიდევ დიდხანს იცოცხლებ...

ედინსონ კავანი პსჟ-ში დარჩა

პსჟ-ს ურუგვაელი ფორვარდი ედინსონ კავანი ზაფხულამდე გუნდში დარჩება, რადგან მისი რამდენიმე შესაძლო ტრანსფერი სხვადასხვა გუნდში ჩაიშალა.

ამის შესახებ პსჟ-ს მთავარმა მწვრთნელმა ტომას ტუჰელმაც ისაუბრა:

– კავანის სურდა გუნდიდან წასვლა, მაგრამ საბოლოოდ დარჩენა ამჯობინა, რადგან კონტრაქტის დეტალებზე სხვა კლუბებს ვერ შეუთანხმდა. მომავალში რა იქნება, არ ვიცი, მაგრამ ზაფხულამდე ის ჩვენთან არის.

ზაფხულში კავანის პსჟ-სთან კონტრაქტი უმთავრდება და, სავარაუდოდ, ის პსჟ-ს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს.

იურგენ კლოპი: „ჯერ კიდევ ყურადღება გვმართებს“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მიუხედავად დიდი უპირატესობისა პრემიერ ლიგაში, ლივერპულს ჯერ კიდევ მართებს ყურადღება, თუმცა, კლოპის აზრით, საქმის დიდი ნაწილი უკვე გაკეთებულია:

– ჩვენ უკვე ძალიან ბევრი შეხვედრა მოვიგეთ და ეს ფაქტი მახარებს. რა თქმა უნდა, ჩემპიონობასთან ძალიან ახლოს ვართ, მაგრამ ჯერ კიდევ არის წინ მატჩები, ამიტომ ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ.

ლივერპული ამჟამად პრემიერ ლიგას 22 ქულის სხვაობით ლიდერობს და მან 25-დან 24 შეხვედრის მოგება შეძლო, რაც ყველა დროის საუკეთესო შედეგია ინგლისის ჩემპიონატში.

ტონი კროოსი: „5 წელიწადში კარიერას დავასრულებ“

მადრიდის რეალის გერმანელმა ნახევარმცველმა ტონი კროოსმა თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ რამდენიმე წელიწადში კარიერას დაასრულებს.

ამჟამად კროოსი 30 წლის არის და ფეხბურთის თამაშს კიდევ 5 წელი აპირებს.

– ჩემს მომავალზე ვფიქრობ და არ ვაპირებ, ვიყო ის ფეხბურთელი, რომელიც 38 წლის ასაკშიც მოედანზე იქნება. შეიძლება, გადაწყვეტილება შევცვალო, მაგრამ ჯერჯერობით ვფიქრობ, რომ დაახლოებით 5 წელიწადში კარიერას დავასრულებ, – განაცხადა კროოსმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა



დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ თურქულად ითარგმნა

ქართველი კლასიკოსი მწერლის დავით კლდიაშვილის რომანი „სამანიშვილის დედინაცვალი“ თურქულად ითარგმნა.

თარგმანი მწერალთა სახლის მხარდაჭერით განხორციელდა და უკვე წიგნადაც გამოიცა.

დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ თურქულ ენაზე ფარნა-ბექა ჩილაშვილმა თარგმნა.

ლუკა ჭოხონელიძეს ბინა აჩუქეს

„მხოლოდ ქართულის“ მესამე სეზონის მონაწილე ლუკა ჭოხონელიძეს ბინა აჩუქეს.

ლუკას საჩუქრის შესახებ „მთავარი არხის“ გადაცემაში „შენი დილა“ მიწვეულმა სტუმარმა პირდაპირ ეთერში უთხრა.

თბილისში სულ მალე დაიწყება ძველი თბილისური ეზოების აღდგენა და სწორედ ასეთ ერთ-ერთ თბილისურ ეზოში ლუკა ჭოხონელიძე იცხოვრებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

რეზო გაბრიაძეს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს

რეჟისორს, მხატვარსა და სცენარისტ რეზო გაბრიაძეს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს.

84 წლის ხელოვანის მდგომარეობაზე ინფორმაცია ჟურნალისტმა ნანა აკობიძემ გაავრცელა:

– „ყელში მილი მიდგას, თავი ქარხანა მგონია“ – სხვა ვინ იტყოდა ამნაირად, თუ არა რეზო გაბრიაძე ხელოვნური სუნთქვის აპარატის შესახებ.

ღმერთო, თუ გინდა, მე შემყარე კორონავირუსი და ეს კაცი დააყენე ფეხზე ერთი 20 წელი!

რომ რამენაირად ბოლომდე წავიკითხოთ და გავსხივოსნდეთ“.

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი ბრიტანული სამხედრო თვითმფრინავი; 2. იტალიელი კინორეჟისორი; 3. მინერალი, ძვირფასი სამშენებლო მასალა; 5. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 7. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი; 9. მთელი სხეულის ძლიერი კრუნჩხვა; 13. მდინარე ერევანში; 15. პოპულარული ქართული სიმღერა; 16. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 18. დიპლომატიური წარმომადგენელი.

თარაზულად: 4. ქართული ხალხური ხის ჩასაბერი საკრავი; 6. ხეობაში დაცურებული ყინულის მასა; 8. ქართველი მოჭადრაკე ქალი, მრავალგზის მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 10. მიწის ნაყოფიერების ღვთაება სვანურ მითოლოგიაში; 11. ერთი სახელმწიფოს დიპლომატიური მიმართვა მეორე სახელმწიფოსადმი; 12. იტალიელი მოდელიერი; 14. უბანი ძველ თბილისში; 17. ფლიდი, ფარისეველი ადამიანი; 19. უსქესო, ვეგეტატიური მეთოდით წარმოშობილი შთამომავლობა; 20. მდინარე გაგრაში; 21. ბერძნული ანბანის პირველი ასო; 22. ზღვის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 23. ბეისბოლისტის ერთ-ერთი ამპლუა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა